ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 211 (12125) | პარასკევი, 15 სექტემბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ქოგულეთის რაიონის ლენინის სახელობის ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ერთერთი დიდი და მძლავრი მეურნეობაა აჭარაში.

მეურნეობის კოლექტივმა შვიდწლედის მესამე წელს სასახელოდ იშრომა იმისათვის, რომ წარმატებით შეესრულებინა ჩაის კრეფის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით სამშობლოსათვის ათეული ტონობით ჩაის ნედლეული მიეცა.

ამ წარმატების მისაღწევად საგულდაგულოდ მოუარეს პლანტაციებს, ჩაის კრეფასაც მოამზადებული შეხვდნენ. სწორედ ამის შედეგია, რომ მეურნეობაში 14 სექტემბრისათვის გეგმით ნავარაუდევ 2.200 ტონის ნაცვლად მოკრიფა 2.260 ტონა „მწვანე ოქრო".

პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ბევრი ბრიგადა დაწინაურდა, მაგრამ პირველობას მაინც კომუნისტური შრომის ბრიგადა ინარჩუნებს, რომელსაც გ. დიასამიძე ხელმძღვანელობს.

ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი ახლა გულმოდგინედ იბრძვის იმისათვის, რომ ჩაის კრეფის გადიდებული ვალდებულება კვლავ სასახელოდ გაანაღდოს.

სურათზე: კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გ. დიასამიძე (მარცხნიდან მეორე) ამოწმებს კომკავშირელ ს. ფრეეევას მიერ მოკრეფილ ჩაის. ფოტო ვ. გიზნბურგისა.

სკკპ XXII ყრილობის შესახვედრად

საბჭოთა მეურნეობების მეჩაიეთა წარმატება

ემზადებიან რა სკკპ XXII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ყოველ დღე ახალ წარმატებებს აღწევენ ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეები. ბევრმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, რაიონმა უკვე უპატაკეს სამშობლოს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმებისა და აღებულ ვალდებულებათა ვადამდე შესრულების შესახებ.

საბჭოთა მეურნეობებს შორის წლიური გეგმა ყველაზე ადრე შეასრულა ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ. ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში დაწინაურდნენ აგრეთვე ლაითურის, ოჩხამურის, ნასაკირალის, აჩიგვარის, ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობები. მათ უკვე მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს ათობით ტონა ზეგეგმითი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. 8 სექტემბრისათვის კი წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა მთლიანად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საბჭოთა მეურნეობების სამმართველოს ჩაისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა. ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 30.117 ტონისა მოკრეფილი და ჩაბარებულია 30.208 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ტრესტის ყველა საბჭოთა მეურნეობის შრომელები გაორკეცებული ენერგიით განაგრძობენ ჩაის ფოთლის კრეფას. ისინი ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ გეგმის გადამეტებით კიდევ მოკრიფონ და ჩააბარონ 1.300 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. (საქდესი).

ორი ჩქაროსნული გამოდნობა ერთ ცვლაში

რუსთავი, 14 სექტემბერი. (საქდესი). გამოვიდა რა სამუშაოდ, ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის ღუმელის მეფოლადემ გრიგოლ ბერეკაშვილმა მიიღო გარდამავალი დნობა. მან ლურჯი სათვალით შეიხედა ცეცხლის ღუმელში და ამოცანად დაისახა: მოეცა ცვლაში ორი გამოდნობა.

კაზმის სწრაფად და სწორად ჩატვირთვა ღუმელში ჩქაროსნული დნობის საიმედო საწინდარია. გ. ბერეკაშვილი ქარხანაში ყველაზე უკეთ აწყობს ამ პროცესს. ამჯერად მან გამოიყენა მის მიერვე შემუშავებული წესი. ჯერ კიდევ გარდამავალი გამონადნობის გამოშვებამდე ღუმელში ჩაასხეს ნედლი მასალების პორცია. შემდეგ ღუმელში ჩაასხეს თხევადი თუჯი. ამ მომენტში მეფოლადე განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ტემპერატურას ღუმელში. საკმარისია ვერ შენიშნო, დაუკლო ტემპერატურა და მაშინ დნობის ხანგრძლივობა აუცილებლად გადიდდება.

მაგრამ ყველაზე მეტი დროს მოგება მისცა მას დნობამ, რომელიც წარმოებული იყო ჩქაროსნული მეთოდით. დიდწონიანი ნადნობი მან მიიღო 5 საათსა და 30 წუთში, ე. ი. გრაფიკით გათვალისწინებულზე სამი საათით ადრე. ეს რეკორდია ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ისტორიაში. როცა დაამთავრა ერთი გამოდნობა, მეფოლადე გ. ბერეკაშვილმა მოსთხოვა თავის დამხმარეებს კვლავ ჩაეტვირთათ კაზმი ღუმელში. სწორად მოაწყო რა შრომა, მან არ დატოვა ღუმელი და მიიღო მეორე გამონადნობი ცვლაში — 5 საათსა და 55 წუთში.

მარტენის ღუმელს, რომელზეც გ. ბერეკაშვილი მუშაობს, მინიჭებული აქვს სახელწოდება: „კომუნისტური შრომის ღუმელი". ნიმდინარე წლის დამდეგიდან მეფოლადეებმა, რომლებიც მას უწევენ მომსახურებას, გეგმის გადამეტებით გამოუშვეს იმდენი ლითონი, რამდენიც საკმარისია ათასამდე ტრაქტორის დასამზადებლად. მეტალურგები არ სჯერდებიან მიღწეულს და ცდილობენ მოიპოვონ ახალი გამარჯვებანი სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავად.

• • •

სურათზე: რუსთავის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მარტენის ღუმელის მეფოლადე **გრიგოლ ბერეკაშვილი.**

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი

საპარლამენტთაშორისო კავშირის კონფერენციისადმი

სსრკ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ბრიუსელში საპარლამენტთაშორისო კავშირის 50-ე კონფერენციას გაუგზავნა წერილი, რომელშიც საბჭოთა მთავრობისა და პირადად თავისი სახელით მიესალმება ამ კონფერენციის მონაწილეებს.

პარლამენტართა კონფერენცია, ნათქვამია წერილში, შეიკრიბა ისეთ პირობებში, როცა ყველა ქვეყნის ხალხებსა და მათს წარმომადგენლებს მოეთხოვებათ ახალი, კიდევ უფრო დიდი ღონისძიებანი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. პარლამენტარებისათვის — ხალხის რჩეულთათვის არ არის და არც შეიძლება იყოს უფრო საპატიო ამოცანა, ვიდრე ხალხთა ამ სანუკვარი მისწრაფების განხორციელებაა.

ნ. ს. ხრუშჩოვი მოაგონებს კონფერენციის მონაწილეებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიასთან მშვიდობიან მოწესრიგებას, და წერს, რომ გერმანიის საზავო ხელშეკრულების შესახებ საბჭოთა კავშირის წინადადებებს საქმიანი განხილვის ნაცვლად დასავლეთის აგრესიული წრეები დაადგნენ მუქარისა და პროვოკაციების გზას საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მიმართ. გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგების მოწინააღმდეგენი აღვივებენ ომის ფსიქოზს, კიდევ უფრო აჩაღებენ გამალებულ შეიარაღებას, ხელოვნურად უკიდურესობამდე აწევენ საერთაშორისო ვითარებას.

წერილში ხაზგასმულია, რომ საბჭოთა კავშირი იყო და არის ყველა საერთაშორისო პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის გულწრფელი მომხრე. იგი არ იშურებდა და არ დაიშურებს მეცადინეობას იმისათვის, რომ გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხიც გადაიჭრას შეთანხმებულ საფუძველზე ყველა მხარის კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით.

საბჭოთა მთავრობის მეთაური შემდეგ აღნიშნავს, რომ საპარლამენტთაშორისო კავშირის მონაწილენი განზე არ უდგანან თანამედროვეობის საარსებო პრობლემებს, და წერს:

ისტორიამ იცის ბევრი მაგალითი, როცა პარლამენტარები, ხელმძღვანელობდნენ რა თავიანთი ხალხების ინტერესებით, გადაჭრით დგებოდნენ ომის მოწინააღმდეგე ძალების მხარეზე. ჩვენს დროში მათ მით უმეტეს არ შეუძლიათ არ გაიმსჭვალონ თავიანთი ხალხების ბედისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით.

ნ. ს. ხრუშჩოვი უსურვებს საპარლამენტთაშორისო კავშირის 50-ე კონფერენციის მონაწილეებს წარმატებითსა და ნაყოფიერ საქმიანობას მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესებისათვის. (საქდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ტუნისის ელჩი ახმედ მესტირი

14 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ტუნისის რესპუბლიკის ელჩი ახმედ მესტირი მისი თხოვნით.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ელჩმა ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცა ტუნისის რესპუბლიკის პრეზიდენტის ხ. ბურგიბას პირადი წერილი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო მალის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში მ. ფ. კეიტა

14 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო მალის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში მამადუ ფადიალა კეიტა მისი თხოვნით.

ელჩმა გადასცა ნ. ს. ხრუშჩოვს მალის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოდიბო კეიტას პირადი წერილი. ნ. ს. ხრუშჩოვსა და მ. ფ. კეიტას შორის გაიმართა მეგობრული საუბარი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო გვინეის ელჩი სორი კაბა

14 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო გვინეის რესპუბლიკის ელჩი სორი კაბა მისი თხოვნით და მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იაპონიის ელჩი სსრ კავშირში ხ. იამადა

14 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იაპონიის ელჩი სსრ კავშირში ხ. იამადა მისი თხოვნით და საუბარი ჰქონდა მასთან.

კარგია, ხეცერელო მეჩაიეებო!

„მწვანე ოქროს" სავანე — ასე უწოდებენ ზუგდიდის რაიონში ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობას და ეს შემთხვევითი როდია. ხეცერელი მეჩაიეები, რომელთა პლანტაციებიც 547 ჰექტარზეა გადაჭიმული, ყოველწლიურად ზრდიან მოსავლიანობას, აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს. მაგრამ ისეთი წარმატებები, როგორიც შვიდწლედის მესამე წელს მოიპოვეს, ჯერ არასოდეს ჰქონიათ მათ.

— შარშანდელთან შედარებით, — ამბობს მეურნეობის დირექტორი ა. როგავა, — ჩაის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 500 კილოგრამით გაგზარდეთ... და იცით, რას ნიშნავს ეს?

ვალაპარაკოთ ციფრები: მეურნეობას წელს გეგმით უნდა მოეკრიფა 1.330 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, შუა აგვისტოში ხეცერელებს უკვე მოკრეფილი ჰქონდათ 1.460 ტონა.

მეურნეობის მეჩაიეებმა, როცა ისინი პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ, ვალდებულება იკისრეს გეგმის ზევით მიეცათ სამშობლოსთვის 50 ტონა ჩაი, მაგრამ ეს ციფრი გასამკეცდა, ხოლო ახლა, მეურნეობის მესვეურები, მუშები, სპეციალისტები ხმამაღლა ამბობენ:

— დამატებით მივეცემთ სამშობლოს სეზონის დამთავრებამდე 300 ტონა ჩაის, ამ გამარჯვებას მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას მივუძღვნით!

ხეცერელ მეჩაიეთა სიტყვა მტკიცეა. რასაც ამბობენ, კიდეც ასრულებენ.

აი, თუნდაც იმ ბრიგადის მაგალითი, რომელსაც სონია ხუხუა ხელმძღვანელობს: გეგმით გათვალისწინებული 64 ტონის ნაცვლად ბრიგადამ 87 ტონა ჩაი მოკრიფა და ამასაც არ ჯერდებიან. ბრიგადამ გადაწყვიტა დამატებით კიდევ 24 ტონა ჩაი მოკრიფოს.

გადიდებულ ვალდებულებათა განაღდებისათვის იბრძვიან აგრეთვე მეურნეობის მოწინავე მუშები ქსენია როგავა, კლარა კუტალია, თამარ ჟვანია და სხვები, რომლებიც თავიანთი მოუღლელი მარჯვენით ადიდებენ მშობლიური მეურნეობის ხვავსა და ბარაქას.

პროდუქციის ხარისხი წინა პლანზე

ბათუმი. (საკ. კორ.). სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობების აღსანიშნავ შეჯიბრებაში.

საწარმომ ერთი კვირით ადრე შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების 8 თვის გეგმა. მკერავებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი, მინიმუმამდე დაიყვანეს პროდუქციის წუნი, შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ 13 სექტემბერს განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან დაიწყონ სერიოზული მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან გერმანიისა და სხვა პრობლემებზე, თუ საბჭოთა მხარე გამოიჩენს ასეთ სურვილს. მან აღნიშნა, რომ ასეთი მოლაპარაკება შესაძლებელი იქნება იმასთან დაკავშირებით, რომ ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVI სესიაში მონაწილეობისათვის ჩავლენ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრი.

იმავე დღეს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მიესალმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ამ განცხადებას.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და პირადად პრეზიდენტ კენედის აღნიშნულ სურვილთან დაკავშირებით და ამ წინადადებისადმი დიდი ბრიტანეთის მთავრობის დადებითი დამოკიდებულების გამო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც იქნება საბჭოთა დელეგაციის მეთაური გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVI სესიაზე, მზად არის დაიწყოს აზრთა შესაბამისი გაზიარება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან დ. რასკთან. ამასთან საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებს იმას, როგორც ეს არა ერთხელ ხაზგასმით აღუნიშნავს მის მეთაურს ნ. ს. ხრუშჩოვს, რომ მხარეები გამოიჩენენ სერიოზულ დამოკიდებულებას მოლაპარაკებისადმი და ერთობლივად შეეცდებიან გამონახონ გადაჭრა საკითხისა გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის მოწესრიგების შესახებ.

ასეთია საბჭოთა მთავრობის პასუხი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაზე.

კუბელი სტუმრები ლენინგრადში

ლენინგრადი, 13 სექტემბერი. (საკდესი). გულთბილი შეხვედრა მოუწყეს დღეს ლენინის ქარხნის მუშებმა კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტს დოქტორ ოსვალდო დორტიკოს ტორადოს და მის თანმხლებ პირებს.

ორთქლის ტურბინების ახალ საამქროში კუბელ სტუმრებს მუშები მხურვალეტაშით შეხვდნენ. კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიმართა შეკრებილთ და თქვა, რომ იგი და მისი თანამგზავრები ბედნიერები არიან, რომ იმყოფებიან საბჭოთა მუშებს შორის. მან უსურვა შეკრებილთ დიდი შრომითი წარმატებანი და პირადი ბედნიერება.

საპატიო სტუმრების წიგნში დოქტორმა ოსვალდო დორტიკოს ტორადომ ჩაწერა: „დიდი გამოცდილება შევიძინე ამ შესანიშნავი ქარხნის ნახვით, რომელიც საბჭოთა კავშირის მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის ცოცხალი განსახიერებაა. თქვენი ქარხანა უჩვენებს მუშების მაღალ კვალიფიკაციას და მათ მაღალ პოლიტიკურ შეგნებას. ეს ქარხანა სოციალისტური შრომის მაგალითია და ცხადყოფს აგრეთვე საბჭოთა ქვეყნის დიდ შესაძლებლობებს სწრაფად გადავიდეს კომუნისტურ საზოგადოებაში."

ლენინგრადი, 13 სექტემბერი. (საკდესი). ღღეს პრეზიდენტმა ოსვალდო დორტიკოსმა და სხვა კუბელმა სტუმრებმა იმოგზაურეს ქალაქში, გაიცნეს ლენინგრადის ისტორიულ-რევოლუციური ძეგლები, ეწვივნენ სმოლნის. აქ სტუმრებმა დაათვალიერეს ისტორიული საამქრები, სადაც 1917 წლის ოქტომბერში მიმდინარეობდა სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობა, რომელმაც მიიღო საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტები — ზავის შესახებ და მიწის შესახებ; დაათვალიერეს ვ. ი. ლენინის ოთახი, სადაც იგი ცხოვრობდა 1917-1918 წლებში.

გმირი კუბის წარმომადგენლები იყვნენ აგრეთვე კრეისერ „ავრორაზე." აქ ისინი გაეცნენ ხომალდის მუზეუმის დოკუმენტებს, რომლებიც ასახავენ ბალტიელ მეზღვაურთა მონაწილეობას ოქტომბრის შეიარაღებულ აჯანყებაში, და სურათი გადაიღეს ხომალდის ეკიპაჟთან და ზამთრის სასახლის იერიშის მონაწილეებთან.

ო. დორტიკოსმა და მისმა თანამგზავრებმა დაათვალიერეს ერმიტაჟი და ქორწინების სასახლე.

ქორწინების სასახლეში სტუმრები დაესწრნენ ახალგაზრდა ლენინგრადელების — სვეაკრო ფლოტის მეზღვაურის ვლადიმერ ფადეევისა და № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკის „პროლეტართა გამარჯვების" მუშის ალა პროკოფიევას ქორწინების რეგისტრაციის საზეიმო ცერემონიას. დოქტორმა ოსვალდო დორტიკოსმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ნ. ორგანოვმა გულითადად მიულოცეს ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, უსურვეს მათ დიდი ბედნიერება. „კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტმა! საჩუქარი უძღვნა ახალგაზრდებს.

ლენინგრადი, 13 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა სადილი გამართა კუბის რევოლუციის გამოჩენილი მოღვაწის, კუბის თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწის, კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტის დოქტორ ოსვალდო დორტიკოს ტორადოს პატივსაცემად.

დოქტორ დორტიკოსთან ერთად სადილზე იყვნენ კუბის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი რაულ როა გარსია, კუბის რესპუბლიკის ელჩი მექსიკაში ხოსე ანტონიო პორტუონდო, კუბის რესპუბლიკის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში რაულ როა კოური და სხვები.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ნ. ორგანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ი. ვ. სპირიდონოვი, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. სმირნოვი, სსრ კავშირის ელჩი კუბაში ს. მ. კუდრიავცევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ა. ფ. დობრინინი და სხვ.

სადილის დროს ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ი. სმირნოვმა და ოსვალდო დორტიკოსმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. სადილმა განსაკუთრებით გულითად ვითარებაში ჩაიარა.

ლენინგრადი, 14 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ლენინგრადიდან სტალინგრადს გაემგზავრა კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი დოქტორი ოსვალდო დორტიკოს ტორადო, რომელიც მოგზაურობს ჩვენს ქვეყანაში, და მისი თანმხლები პირები.

სტალინგრადი, 14 სექტემბერი. (საკდესი). დღეს სტალინგრადში ჩამოვიდა კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოს ტორადო და მისი თანმხლები პირები.

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲧᲠᲘᲚᲝᲑᲝ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ

ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ ᲡᲙᲙᲙ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲡ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის როგორც საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა საზოგადოების მაორგანიზებელი და შთამაგონებელი დიადი და უძლეველი ძალის მთელ საბრძოლო მოღვაწეობას ორი ძირითადი ფუძემდებლური დოკუმენტი განსაზღვრავს: პარტიის პროგრამა და წესდება.

ბარტყის წესდებას ვ. ი. ლენინი განიხილავდა როგორც პარტიის ორგანიზაციული პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტს, პროგრამასთან ერთად ძირითად სამოქმედო კანონს — კონსტიტუციას, სადაც ჩამოყალიბებულია **პარტიის აგებისა და წყობის ორგანიზაციული ფორმები, მისი შინაგანი ცხოვრების სახელმძღვანელო წესები, პარტიული ცხოვრების ურყეველ კანონები, რომლებითაც ხელმძღვანელობს პარტიის ყველა ორგანიზაცია და ყველა კომუნისტი მთელ თავიანთ რევოლუციურ დიად პრაქტიკულ მოღვაწეობაში.** დიდი ლენინი უდიდეს ყურადღებას უთმობდა პარტიის პროგრამასა და წესდების შემუშავებას, და რუსეთის სინამდვილეში ახალი ტიპის, ნამდვილი მარქსისტული პარტიის შექმნა სწორედ ამ საბრძოლო დოკუმენტების შემქმნით დაიწყო.

„პროლეტარიატს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — შეუძლია გახდეს და იგი გარდუვალად გახდება კიდეც უძლეველ ძალად მხოლოდ იმის მეოხებით, რომ მარქსიზმის პრინციპებით მის იდეურ გაერთიანებას განამტკიცებს მატერიალური ერთიანობა ორგანიზაციისა, რომელიც მშრომელთა მილიონებს რაზმავს მუშათა კლასის არმიად. ამ არმიას ვერ გაუძლებს ვერც რუსეთის თვითმპყრობელობის მიხრწნილი ძალაუფლება და ვერც საერთაშორისო კაპიტალის მიხრწნის გზაზე დამდგარი ძალაუფლება“.

ახალი წესდების პროექტში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი პარტიული მშენებლობის საკითხების შემდგომ სრულყოფას, პარტიული ცხოვრების ურყეველ კანონების მტკიცედ დაცვაზე პროგრამულ მოთხოვნებთან, პარტიის უახლოეს ამოცანებთან. პარტიული მშენებლობის საკითხების განზოგადოებასა და სრულყოფას. **ახალი წესდების პროექტი ლენინიზმის ორგანიზაციული პრინციპების განსახიერება და ჩვენი პარტიის კოლეკტიური აზრის მიერ მისი შემუშავებითი განვითარება.** იგი კომუნიზმის მშენებლობის უძლიერესი ორგანიზაციული იარაღია. ამაზე ლაპარაკობს ახალი წესდების პროექტის თვითეული პარაგრაფი.

ამჟამად მოქმედი წესდებისაგან განსხვავებით ახალი წესდების პროექტში მოცემულია შესავალი ნაწილი, სადაც პარტია განმარტებულია როგორც საბჭოთა ხალხის მებრძოლი ნაკადი ავანგარდი, რომელიც ნებაყოფლობის საწყისებზე ეერთიანებს სსრ კავშირის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის მოწინავე, ყველაზე შეგნებულ ნაწილს. აქვე შეკუმშულია ბრძოლის ის სახელოვანი დიადი გზა, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ განვლო.

ლენინიზმის ორგანიზაციული მოძღვრების შემდგომი განვითარება მოცემული შესავლის იმ დებულებაში, სადაც ნათქვამია, რომ **კომუნისტური პარტია, მუშათა კლასის პარტია ამჟამად მთელი საბჭოთა ხალხის პარტია გახდა.** პრეკეტის ეს დებულება ხაზს უსვამს, რომ პარტია საბჭოთა ხალხის მოწინავე და ორგანიზებული რაზმია, იგი ხალხისათვის არსებობს და ხალხს ემსახურება, თავის სიძლიერეს ხალხთან სისხლხორცეულ კავშირში ეძებს. ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს პარტია ითქვიფებოდეს მასებში, პირიქით, იგი ხელმძღვანელობს მასებს და რაზმავს მას პარტიის გარშემო.

პროექტის პირველი განყოფილება დასათაურებულია ასე: **„პარტიის წევრები, მათი მოვალეობანი და უფლებანი“.**

როგორც ცნობილია, პარტიის წევრობის საკითხი ფუძემდებლური საკითხია ლენინურ ორგანიზაციულ მოძღვრებაში. ისე, როგორც ჩვენი პარტიის ყველა წესდებები. პარტიის ახალი წესდების პროექტიც იწყება პარტიის წევრობის განმსაზღვრელი ცნობილი ლენინური გენიალური განმარტებით **დ.** პირველი პარაგრაფი ფორმულირებულია ახალი რედაქციით: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი შეიძლება იყოს საბჭოთა კავშირის ყოველი მოქალაქე, რომელიც აღიარებს პარტიის პროგრამასა და წესდებას, აქტიურად იღებს მონაწილეობას კომუნიზმის მშენებლობაში, მუშაობს ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში, ასრულებს პარტიის გადაწყვეტილებებს და იხდის საწევრო შესატანს“. როგორც ამ პარაგრაფიდან ჩანს, ამჟამად მოქმედი წესდებიდან ამოღებულია სიტყვები: „...რომელიც ეექსპლოატაციას არ უწევს სხვის შრომას“, ცნობილია, რომ ეს დებულება შეტანილ იქნა წესდებაში პარტიის XIX ყრილობის მიერ და განმტკიცებდა პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირში აგებული სოციალისტური საზოგადოების ისტორიულ შედეგებს. იგი თვალნათლივ აახავდა იმ მდგომარეობას, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელები თავისუფალი იყვნენ ექსპლოატაციის მძიმე უღლისაგან. ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმმა გიმარჯვა არა მარტო მთლიანად, არამედ საბოლოოდაც და საბჭოთა ხალხი წარმატებით აწარმოებს კომუნიზმზე გადასვლას, ამ დებულების შენარჩუნება წესდებაში ზედმეტი შეიქმნა. პირველივე პარაგრაფიდან გამომდინარეობს, რომ პარტიის წევრისათვის საკმარისი როდი პროგრამისა და წესდების აღიარება, არამედ საჭიროა აქტიური მონაწილეობა კომუნიზმის მშენებლობაში.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში პარტიის როლის ამაღლებასთან ერთად მაღლდება თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობა. პარტიის წესდებაში კომუნისტის მოვალეობათა შესახებ პირველად ჩაიწერა XVII ყრილობაზე და შემდეგ პარტიის წიგნაში დასახულ ამოცანებთან ერთად ეს მოვალეობები იზრდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა. ახალი წესდების პროექტში კომუნისტის მოვალეობები ფორმულირებული და კონკრეტიზებულია მე-2 პარაგრაფის 8 პუნქტში ნაცვლად წინა წესდების 11 პუნქტისა. და ეს პუნქტები პარტიის წევრობის განმსაზღვრელ ლენინურ მოთხოვნათა უმაღლეს გამოხატულებას წარმოადგენს.

კომუნისტის მოვალეობათა შესახებ პირველი პუნქტი ეხება იმას, რომ იგი მოვალეა იბრძოდეს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, იყოს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითი, ზრდიდეს შრომის ნაყოფიერებას, იყოს ყოველივე ახლის, პროგრესულის წამომწყები, მხარს უჭერდეს და ავრცელებდეს მოწინავეთა გამოცდილებას, ეუფლებოდეს ტექნიკას, სრულყოფდეს თავის კვალიფიკაციას, უფრთხილდებოდეს და აძრავებდეს საზოგადოებრივ სოციალისტურ საკუთრებას — საბჭოთა სამშობლოს ძლიერებისა და აყვავების საფუძველს.

შემდეგ პუნქტში ნათქვამია, რომ კომუნისტი მტკიცედ და განუხრელად უნდა ახორციელებდეს პარტიის გადაწყვეტილებებს, უნდა შეეძლოს განმარტოს და დაიცვას ისინი. კომუნისტი მოვალეა გაუნუმარტავდეს მასებს პარტიის პოლიტიკას, განამტკიცებდეს კავშირს მასებთან, იყოს გულისხმიერი, უყრადღებიანი ადამიანებისადმი, დროზე ეხმაურებოდეს შრომელთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, აქტიურად მონაწილეობდეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახელმწიფო საქმეების მმართვაში, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, იყოს მაგალითი საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებაში, ყოველნაირად უწყობდეს ხელს კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას, კომუნისტთა თეორიული დონის ამაღლებას. ამიტომ წესდების პროექტის შემდეგი პუნქტი ავალებს კომუნისტს ეუფლებოდეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, იმაღლებდეს თავის იდეურ დონეს, ხელს უწყობდეს კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბებას და აღზრდას. არ შეიძლება დავიწყებულ იქნას, რომ ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი კაპიტალიზმის გადმონაშთები ცალკეულ ადამიანთა შეგნებაში. ისინი ვლინდება კერძომესაკუთრულ ფსიქოლოგიაში, შრომისადმი არაკომუნისტურ დამოკიდებულებაში, საზოგადოებრივი საკუთრების ხელყოფაში, ბიუროკრატიზმში, ბურჟუაზიულ ნაციონალიზმში, აგრეთვე იმაში, რომ ადამიანთა ერთ, ჩამორჩენილ ნაწილში გასაკვირი აქვს რელიგიურ ცრურწმენათა ნაშთებს, ოჯახისადმი, ქალისადმი არასწორ დამოკიდებულებას, ხულიგობას, ლოთობას. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევას. კომუნისტი მოვალეა ებრძოდეს წარსულის ყველა ამ ნაშთს, ებრძოდეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარ გამოვლინებას, იცავდეს კომუნისტური მორალის წესებს, პირად ინტერესებზე მაღლა აყენებდეს საზოგადოებრივ ინტერესებს, აქტიურად ავრცელებდეს სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის იდეებს შრომელთა მასებში, იბრძოდეს ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ. სიტყვით და საქმით უწყობდეს ხელს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის, სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან, ყველა ქვეყნის პროლეტარებთან და შრომელთა საბჭოთა ხალხის ძმური კავშირის განმტკიცებას.

ახალი წესდების პროექტში კომუნისტის ვალდებულებები პარტიის ერთიანობის დაცვის, პარტიის წევრის პატიოსნების, სიფხიზლის ამაღლებისა და პარტიული და სახელმწიფო სადისციპლინოების დაცვის საქმეში მოცემულია ერთ პარაგრაფში, რაც ახალი წესდების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტს წარმოადგენს.

პარტია ყველაფერს აკეთებს, რომ წმიდად შეინახოს მარქსიზმ-ლენინიზმის დოქტრინა და თავის არსენალში ინარჩუნებს პარტიული ცხოვრების ლენინური პრინციპებით გათვალისწინებულ ორგანიზაციულ გარანტიებს ფრაქციულობისა და ჯგუფობრიობის ყოველგვარ გამოვლინებათა წინააღმდეგ.

ლენინიზმის ორგანიზაციული პრინციპები გვასწავლის, რომ თვითკრიტიკა და კრიტიკა თუ არ იქნა, გარდუვალია მეშაობის შეფერხება, აპარატის გადაგვარება და გახრწნა, მშრომელთა აქტივობის შესუსტება. პარტია უნერგავს კომუნისტებს, საბჭოთა ადამიანებს, რომ ჩვენი წინსვლისთვის აუცილებელია კრიტიკა და თვითკრიტიკა ისე, როგორც წყალი და ჰაერი ადამიანისათვის, ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ შემდეგი პუნქტი ეხება იმას, რომ კომუნისტი მოვალეა ავითარებდეს კრიტიკასა და თვითკრიტიკას, გაბედულად აშკარავებდეს ნაკლოვანებებს და იბრძოდეს მათი აღმოფხვრისათვის, იბრძოდეს პარადულობის, თავგასულობის, თვითდამშვიდებისა, კუთხურობის წინააღმდეგ, მტკიცე წინააღმდეგობას უწევდეს კრიტიკის ჩახშობის ყოველ ცდას, იბრძოდეს ყოველი მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც ზიანს აყენებს პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებს. პარტიის წევრი მოვალეა ასეთ მოქმედებას აცნობებდეს ზემდგომ ორგანოებს, თვით სკკპ ცენტრალურ კომიტეტს.

ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ შერჩევის პარტიული პრინციპი მდგომარეობს კადრების შერჩევაში პოლიტიკური და საქმიანი ნიშნების მიხედვით, ე. ი. ღირსი არიან თუ არა ამა თუ იმ კონკრეტული სამუშაოსი. პარტია ყოველთვის გადამჭრელ ბრძოლას უცხადებდა ყოველგვარ გადახვევას კადრების შერჩევის პარტიული პრინციპიდან. პარტიის ახალი წესდების პროექტი თვითეული კომუნისტისაგან მოითხოვს განუხრელად ახორციელებდეს პარტიის ამ ხაზს კადრების შერჩევაში, იყოს შეურიგებელი ყველა შემთხვევაში, როცა ირღვევა კადრების შერჩევისა და აღზრდის ლენინური პრინციპები.

ახალი წესდების პროექტის მე-3 პარაგრაფის 5 პუნქტში ჩამოყალიბებულია კომუნისტთა უფლებები, რომლებიც მოცემულია ახალი რედაქციით წინა წესდების მე-4 პარაგრაფის 5 პუნქტთან შედარებით. ამ უფლებების კონსტიტუირება წესდებაში ხელს უწყობს კომუნისტების აქტივობის და შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლებას, პარტიის წევრებსა და კანდიდატებში იმ ლენინური აზრის განმტკიცებას, რომ პარტია პასუხისმგებელია თავისი თვითეული წევრისათვის და თვითეული კომუნისტი პასუხისმგებელია თავისი პარტიისათვის.

პროექტში კვლავ პოულობს გამოხატულებას ცხოვრებაში პრაქტიკულად გამართლებული ლენინური მოთხოვნა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური წესით ხდება პარტიის წევრად მიღება. შეგნებული, აქტიური და კომუნიზმის საქმის ერთგული მშრომელებისა მეშათა, გლეხთა და ინტელიგენციის რაცხვიდან. ისინი ადგენენ რეკომენდაციებს ანუ კომუნისტის თავდებობას. ესეიგი რეკომენდატორი პარტიაში შემსვლელ ამხანაგს **ერთობლივი საწარმოო და საზოგადოებრივი მეშაობით უნდა იცნობდეს.** ამით წესდების პროექტში ხაზგასმულია, რომ რეკომენდატორი უნდა იცნობდეს რეკომენდებულის საწარმოო და საზოგადოებრივ სახეს და პასუხს აგებდეს მისთვის. პარტიული ორგანიზაცია ყოველმხრივ ღრმად უნდა ამოწმებდეს რეკომენდაციების კეთილსარისხოვნებას და პარტიულ პასუხისგებაში აძლევდეს იმ კომუნისტს, რომელიც ამ მხრივ არ იჩენს სათანადო პასუხისმგებლობას.

ახალი წესდების პროექტით შეცვლილია სხვა პარტიებიდან გამოსულ პირთა ჩვენს პარტიაში მიღების წესი და ისინი მიიღებიან ჩვეულებრივი პროცედურით მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პარტიაში მათი საბოლოო მიღების საკითხს წყვეტენ საოლქო, სამხარეო ან მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები. ეს ცვლილება კიდევ უფრო ამაღლებს პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობას პარტიის ხარისხობრივი ზრდისათვის.

წესდების პროექტი აკანონებს საბჭოთა კავშირის იმ მოქალაქეთა ჩვენს პარტიაში მიღების წესს, რომლებიც წინათ სხვა ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წევრები იყვნენ.

პარტიის საწევრო რეგულარული გადახდა კომუნისტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საწესდებო ლენინური მოთხოვნაა. თანახმად წესდებისა, ის კომუნისტი, რომელიც საპატიო მიზეზების უქონლად სამი თვის განმავლობაში არ გადაიხდიდა საწევრო შესატანს, ითვლებოდა **პარტიიდან ავტომატურად გასულად,** რაზეც პირველად პარტიულ ორგანიზაციას გამოქვონდა დადგენილება, რომელსაც ამტკიცებდა პარტიის რაიონული ან საქალაქო კომიტეტი.

წესდების პროექტით პარტიის ის წევრი და კანდიდატი, რომელსაც საპატიო მიზეზების უქონლად სამი თვის განმავლობაში არ გადაუხდია საწევრო შესატანი, ავტომატურად არ ითვლება პარტიიდან გასულად, არამედ მის საკითხს განიხილავს პარტიული ორგანიზაცია. თუ გამოირკვევა, რომ პარტიის წევრმა ან წევრობის კანდიდატმა ფაქტიურად დაკარგა კავშირი პარტიულ ორგანიზაციასთან, იგი ითვლება პარტიიდან გასულად. რაზეც პარტორგანიზაციას გამოაქვს გადაწყვეტილება და შეაქვს იგი პარტიის რაიონულ თუ საქალაქო კომიტეტში დასამტკიცებლად.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ცხოვრების ლენინური ნორმები მოითხოვს, რომ პარტიული ორგანოები, მათი მეშაკები თვალყურს ადევნებდნენ, თუ როგორ ახორციელებენ საწესდებო მოთხოვნებს პარტიის წევრები, პარტიული მასა თვალყურს ადევნებდეს როგორ ახორციელებენ საწესდებო მოთხოვნებს პარტიული ორგანოები, მათი მეშაკები. წესდების პროექტის მე-9 პარაგრაფში ახალი რედაქციით არის მოცემული სპეციალური პუნქტები პარტიული სასჯელის ზომების შესახებ. მასში განსახილულია პარტიის ლენინური ზრუნვა თავის თვითეული წევრისადმი, რომ კომუნისტის უმნიშვნელო გადაცდომისათვის მიღებულ უნდა იქნას პარტიული აღზრდისა და ზემოქმედების ზომები, ამხანაგური კრიტიკის, პარტიული გაკიცხვის, გაფრთხილების ან მეთითების სახით და არა უმაღლესი ზომა — პარტიიდან გარიცხვა. კომუნისტის პარტიიდან გარიცხვის საკითხის გადაჭრისას უხრუნველყოფილ უნდა იქნას მაქსიმუმი სიფრთხილე, ყურადღება და წაყენებულ ბრალდებათა საფუძვლიანობის გულდასმით გარჩევა. კომუნისტის პარტიიდან გარიცხვის საკითხს წყვეტს კრების დამსწრე პარტიის წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი და გადაწყვეტილება ძალაში შედის საოლქო-კომიტეტის, სამხარეო კომიტეტის და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მიერ დამტკიცების შემდეგ.

პარტიული მშენებლობის საკითხების შემდგომი განვითარება მოცემულია ახალი წესდების პროექტის მე-11 პარაგრაფში, სადაც, ძველი წესდებისაგან განსხვავებით, ჩაწერილია, რომ ზემდგომი პარტიული ორგანოების წევრთა გარიცხვის საკითხს განიხილავს არა ის ორგანო, რომლის წევრიც ის არის, არამედ ჩვეულებრივი წესით პირველადი პარტიული ორგანიზაცია. დადგენილება გარიცხვის შესახებ ეცნობება შესაბამის პარტიულ კომიტეტს, რომლის წევრიც არის ეს კომუნისტ და საბოლოო გადაწყვეტილება მისი გარიცხვის შესახებ გამოაქვს შესაბამისი პარტიული კომიტეტის პლენუმს წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით. ეს ხელს უწყობს შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომ გაშლას და პირველადი პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის ზრდას.

პარტიის ახალი წესდების II კარი მიძღვნილია „პარტიის წევრობის კანდიდატებისადმი“.

საკანდიდატო სტაჟი პირველად ვ. ი. ლენინის წინადადებით დაწესდა 1919 წელს, მაშინ, როცა მიღებულ იქნა პარტიის ახალი, მეორე პროგრამა. პარტიის VIII ყრილობის დადგენილებით საათანადო ცვლილებები იქნა შეტანილი პარტიის წესდებაში VIII პარტიულ კონფერენციაზე 1919 წლის დეკემბერში, საკანდიდატო სტაჟის დანიშნულება იყო და არის ის, რომ პარტიის წევრობის კანდიდატი გაეცნოს სკკპ პროგრამასა და წესდებას და მოემზადოს პარტიის წევრად შესვლისათვის. ხოლო პარტიული ორგანიზაცია ახლოს გაეცნოს პარტიაში შემსვლელ ამხანაგს, მის ყველა თვისებას, შეისწავლოს, არის თუ არა ეს ამხანაგი პარტიის წევრად მიღების ღირსი. ახალი წესდების პროექტში შენარჩუნებულია კანდიდატთა მიღების წესები, რომლებიც ადგენილი იყო წინა წესდებაში, მხოლოდ ერთი ცვლილებით. პარტიულ ორგანიზაციას აღარა აქვს უფლება საკანდიდატო სტაჟი გაუგრძელოს იმ პირებს, რომლებმაც საკმაოდ ვერ გამოიჩინეს თავი წევრად შესვლისათვის იმ მიზეზებით, რომლებსაც პარტიული ორგანიზაცია სპეციალურ მიიჩნევდა. ამ პუნქტმა უკვე შეასრულა თავის დანიშნულება. როგორც ცნობილია, იგი XIX ყრილობის მიერ იქნა შეტანილი წესდებაში, როცა სტაგნაციაცილებულ კომუნისტთა რაოდენობამ დიდ პროცენტს მიაღწია. ამავე განყოფილების მე-17 პარაგრაფში დაზუსტებულია პარტიის წევრობის კანდიდატების უფლებები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს კანდიდატებთან მუშაობის გაუმჯობესებისათვის. წესდების პროექტში კვლავ ხაზგასმულია, რომ პარტია შინდიტერიტორიულ-საწარმოო პრინციპის ნიშნის მიხედვით, ამასთან ზუსტად არის გაშიფრული, თუ რას ნიშნავს ეს პრინციპი. მასში კვლავ თავის გამოხატულებას პოულობს ლენინური დებულება, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია ავტონომიურია ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში, თუ ეს გადაწყვეტილებანი არ ეწინააღმდეგებიან პარტიის პოლიტიკას.

ლენინური ორგანიზაციული მოძღვრების შემოქმედებითად განვითარების, შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი გაშლის მაჩვენებელია წესდების პროექტის 25-ე პარაგრაფი, სადაც განსახიერებულია ახალი პროგრამის პროექტის ძირითადი დებულებები. მისი მიზანია პარტიის როლის ამაღლება კომუნიზმის გაშლილ მშენებლობის პერიოდში.

იმისათვის, რომ თანმიმდევრულად ხორციელდებოდეს ხელმძღვანელობის კოლექტიური პრინციპები, ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს ახალი პარტიული ძალები რომ ემატებოდეს, რომ ხდებოდეს ძველი და ახალგაზრდა კადრების სწორი შეხამება, მეტისმეტად რომ არ მოექცეს ძალაუფლება ცალკეულ მუშაკთა ხელში და თავიდან აცილებულ იქნას კოლექტივის კონტროლიდან მათი გამოსვლის შემთხვევები, პარტია თავის ახალ წესდებაში აკანონებს პარტიის ყველა არჩევითი ორგანოს აუცილებელ განახლებას, გარკვეული პროპორციებით. უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია ის, რომ ყოველ მორიგ არჩევნებში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის შემადგენლობა განახლდება სულ ცოტა ერთი მეოთხედით. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებს ირჩევენ, როგორც წესი, სულ დიდი სამი მოწვეევის ვადით ზედიზედ. პარტიის აღიარებულ გამოჩენილ ხელმძღვანელ მუშაკთა შესახებ წესდების პროექტი გამონაკლისს უშვებს და შეიძლება ისინი არჩეულ იქნან უფრო ხანგრძლივი ვადით ზედიზედ იმ პირობით, თუ დახურული (ფარული) კენჭისყრის დროს მიიღებენ ხმების სულ ცოტა სამ მეოთხედს. ასეთივე ღონისძიებებია დასახული ჩვენი პარტიის საშუალო რგოლის მიმართ. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები, სამხარეო, საოლქო კომიტეტების შემადგენლობა ყოველი მორიგი არჩევნების დროს განახლდება სულ ცოტა ერთი მესამედით, ხოლო საოკრუგო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტკომების ან ბიუროების შემადგენლობა სულ ცოტა ორ წელიწადში ერთხელ.

ამასთან ამ ხელმძღვანელობა ეფუძნება ორგანოების წევრები შეიძლება არჩეულ იქნან ზედიზედ სულ დიდი სამი ვადით. პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები შეიძლება არჩეულ იქნან ზედიზედ სულ დიდი ორი მოწვევის ვადით. დაწესებულია, რომ ყველა ხელმძღვანელი ორგანოს შემადგენლობიდან წევრთა გამოყვანის შესახებ დადგენილება შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ დახურული (ფარული) კენჭისყრით ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

ახალი წესდების პროექტი დიდ ყურადღებას უთმობს არჩეგითობისა და ანგარიშგების პრინციპის გამოყენების საფართოებას პარტიულ ორგანიზაციებში თავიდან ბოლომდე, მათ შორის არმიისა და ფლოტის პარტორგანიზაციებშიც.

პარტია სახავს დიდ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ხელსაყრელი პირობები, რომ პარტიაში თავისუფლად და საქმიანად იქნას განხილული მისი პოლიტიკისა და პრაქტიკული საქმიანობის საკითხები, რადგან ლენინიზმის ორგანიზაციული პრინციპები გვასწავლის, რომ ამ საკითხების განხილვა პარტიულ ორგანიზაციებში ან მთლიანად პარტიაში პარტიის წევრის განუყოფელი უფლება და შინაპარტიული დემოკრატიის გაშლის გადამწყვეტი პირობაა.

28-ე პარაგრაფში დაკანონებულია პარტიული ორგანიზაციების ყველა რგოლში კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების დაწერგვის აუცილებლობა. როგორც პარტიული ხელმძღვანელობის უმაღლესი პრინციპისა, ხოლო 29-ე პარაგრაფის თანახმად პარტიული ორგანოები მოვალენი არიან სისტემატური ინფორმაცია მიაწოდონ ქვემდგომ პარტიულ ორგანიზაციებს.

პროექტის IV განყოფილება მიძღვნილია პარტიის უმაღლესი ორგანოების მუშაობის ფუნქციების გარკვევისადმი. სკკპ ცენტრალური კომიტეტი რეგულარულად აწვდის ინფორმაციას თავისი მუშაობის შესახებ ქვემდგომ პარტიულ ორგანიზაციებს. ცენტრალური კომიტეტი ირჩევს პრეზიდიუმს ცენტრალური კომიტეტის პლენარულ სხდომებს შუა პერიოდში ხელმძღვანელობის გასაწევად, ხოლო მიმდინარე მუშაობის ხელმძღვანელობისათვის, უმთავრესად კადრების შერჩევისა და შესრულების შემოწმების ორგანიზაციის დარგში — სამდივნოს და ქმნის სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს. ცენტრალური კომიტეტი ქმნის პარტიული კონტროლის კომიტეტს, რომლის მუშაობის საკითხები განსაზღვრულია ახალი წესდების პროექტით. პროექტით განსაზღვრულია აგრეთვე ცენტრალური სარევიზო კომისიის მუშაობის ფუნქციები.

ახალი წესდების პროექტში შეერთებულია ამჟამად მოქმედი წესდების V, VI და VII განყოფილებები ერთ, V კარში, რომლის სახელწოდებაა „პარტიის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები“. კარში ახალი რედაქციით ჩამოყალიბებულია ამ პარტიული ორგანოების შექმნისა და მოღვაწეობის მტკიცე წესები, მათი ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობის ძირითადი საკითხები. ახალი წესდების პროექტი არ განსაზღვრავს ამ პარტიული ორგანოების ბიუროს წევრთა შემადგენლობის რიცხვს, ეს მინდობილი აქვთ თვით კონფერენციებს და ყრილობას.

პარტიის საოკრუგო, საქალაქო და რაიონული (სასოფლო და საქალაქო) პარტიული ორგანიზაციების კონფერენციებს იწვევენ ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ნაცვლად ყოველი წლისა, როგორც ეს შეტანილი იყო დღემდე მოქმედ წესდებაში.

ᲗᲠᲘᲛᲔᲢᲘ VI განყოფილება მიძღვნილია „პარტიის პირველადი ორგანიზაციებისადმი“. აქ ახლებურად ჩამოყალიბებულია პარტიის საფუძვლის მუშაობის საბრძოლო ამოცანები, რომლებიც პარტიის პროგრამიდან და წესდებიდან გამომდინარეობს. წესდების პროექტში ახალია ისიც, რომ დასაშვებად არის მინიჭებული შექმნას ტერიტორიული პირველადი პარტორგანიზაციები კომუნისტთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სოფლებში და სახლთმმართველობებთან. პირველად და საამქროს პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც 150-ზე ნაკლები წევრია გაერთიანებული, განთავისუფლებული პარტიული მუშაკების თანამდებობანი. როგორც წესი, არ არის. საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული კომიტეტები შეიძლება შეიქმნას, თუ იქ 50 კომუნისტია.

წესდების პროექტში ჩაწერილია: პირველადი პარტიული ორგანიზაციები უნდა ცდილობდნენ, რომ თვითეული კომუნისტი თავის ცხოვრებაში თვითონ იცავდეს და მშრომელებს უნერგავდეს სკკპ პროგრამაში ჩამოყალიბებულ ზნეობრივ პრინციპებს და მთელ თავის საქმიანობას პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ამაზე აგებდეს, რომ თვითეული კომუნისტი იყოს კომუნიზმის საქმისადმი ერთგული, ეწეოდეს კეთილსინდისიერ შრომას საზოგადოების საკეთილდღეოდ პრინციპით — ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს, ზრუნავდეს საზოგადოებრივი დოვლათის დაცვისა და გამრავლებისათვის, გამსჭვალული იყოს საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნებით, კოლექტივიზმის და ამხანაგური ურთიერთდახმარების სულისკვეთებით. მუდამ ახსოვდეს, რომ საბჭოთა საზოგადოებაში გაბატონებულია პრინციპი — ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის. ჰუმანური იყოს ადამიანებისადმი და მუდამ ხელმძღვანელობდეს ურთიერთპატივსცემის პრინციპით, ახსოვდეს, რომ ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმაა. ახასიათებდეს პატიოსნება და სიმართლე, ზნეობრივი სიწმინდე. უბრალოება და თავმდაბლობა საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში.

პროექტის VII კარი—„პარტია და კომკავშირი“ აღბეჭდავს პარტიის საამქრო რეზერვის — კომკავშირის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს და ამ კარის შესავალში გამოკვეთილია ახალი რედაქციით კომკავშირის, როგორც პარტიის უახლოესი თანაშემწის საბრძოლო ამოცანები.

საბჭოთა არმიის პარტიული ორგანიზაციებს მუშაობის ფუნქციების გაფართოებისაკენ მიმართულია VIII კარი — „პარტიული ორგანიზაციები საბჭოთა არმიაში“. დიდი ყურადღება აქვს დათმობილი პარტიული ჯგუფების მუშაობას პარტიის გარეშე ორგანიზაციებში. ამასადმი მიძღვნილია პროექტის IX კარი. ახალი წესდების პროექტით შესამჩნევად მცირდება პარტიის საწევრო შესატანი.

ახალი წესდების პროექტში შეტანილია აგრეთვე ზოგიერთი სხვა ცვლილება, რომლებიც ხელს უწყობენ იმას, რომ წესდება, როგორც პარტიის უძლიერესი ორგანიზაციული იარაღი, კიდევ უფრო ბასრი გახდეს.

სკკპ წესდების პროექტი ცხოველ გამოხმაურებას პოულობს ყველა კომუნისტში, ყოველ საბჭოთა ადამიანში, მომძე კომუნისტურ და მუშათა პარტიებში.

ყრილობისწინა ისტორიულ დღეებში განსაკუთრებული ძალით მეღავნდება საბჭოთა ხალხის და მთელი პროგრესული კაცობრიობის უდიდესი სიყვარული მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი საქმისადმი, კომუნიზმისადმი, რომლის ნათელი კონტურები სულ უფრო ახლოს ჩანს.

ᲓᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲐᲚ. ᲛᲔᲠᲪᲮᲣᲚᲐᲕᲐ.

საქართველოს კპ XXI ყრილობის შესახვედრად

შახჯის შუქურა

ოვიდწლედის გმირები

საქართველოს კპ XXI ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ცალკეული ბრიგადები და დამკვრელები, ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი წარმოების ნოვატორებმა და საკოლმეურნეო სოფლის შუქურებმა. ბევრმა მათგანმა უკვე შეასრულა წლიური გეგმა და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება და ახლა პროდუქციას იღებენ ვალდებულების გადამეტებით.

დღეიდან გაზეთი „კომუნისტი" იწყებს სტატიების ციკლებს ამ მოწინავე ადამიანების შესახებ, რომლებმაც გაანადღეს ნაკისრი ვალდებულება და წარმატებით იბრძვიან წლიური გეგმის შესრულებისათვის.

ოთარ ბრეგაძე.

• • •

სანგრიაში აფეთქების ხმა გაისმა. ქვანახშირის ფენა ჭერს მოსწყდა. დაიმსხვა და ჩამოწვა. დატრიალდნენ ვაჟკაცები. საქართველოს კპ XXI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის მიცემულ სიტყვას ამა როგორ შეარცხვენენ!

...ლენინის სახელობის შახტში მოწინავე კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს რომ იკითხავთ, პირველ რიგში ოთარ ბრეგაძეს დაგისახელებენ.

ოთარ ბრეგაძე ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც პირველი გამოეხმაურა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობის შესანიშნავ წამოწყებას — შექმნან კომუნისტური შრომის ბრიგადები და იშრომონ, ისწავლონ და იცხოვრონ კომუნისტურად.

— პირველად, როცა ჩვენ მხოლოდ ვიწყებდით კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდების მოპოვებისათვის ბრძოლას, — ამბობს ო. ბრეგაძე, — კოლექტივში საქმე რგზე ვერ იყო. იყვნენ ბიჭები, რომლებიც დაუდევრად ეკიდებოდნენ ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესებას, პასპორტის დარღვევით ახდენდნენ გამომუშავებული სიერცის გადამაგრებას, ვადაზე ადრე ტოვებდნენ სამუშაოს, ყველა როდი იყო ჩაბმული სწავლაში, სპორტულ საქმიანობაში. ერთი სიტყვით, ბრიგადის წევრებში დისციპლინა მოისუსტებდა.

საჭირო იყო ამ მდგომარეობის გამოსწორება. ბრიგადირმა მიზნად დაისახა შეემჯიდროებინა კოლექტივი, განმტკიცებინა წევრთა შორის ამხანაგური და მეგობრული დამოკიდებულების გრძნობა. პირველ რიგში მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა წუნს, დაუდევრობისა და თვმიცემულობის ყოველგვარ გამოვლინებას. ოთარმა დიდი მუშაობა გასწია იმისათვის, რომ გაეიდებინა შრომის ნაყოფიერება და შეემცირებინა მოცდენა.

წინათ სანგრეში მეშახტეებს დიდი დრო ეხარჯებოდათ იმის გამო, რომ წინასწარ არ იცოდნენ, რა უნდა ეკეთებინათ. ბრიგადირმა კანონად შემოიღო სამუშაო გაანაწილოს სანგრეში მისვლამდე — განრიგის გაცემის დროს. ამან შეამცირა მოცდენა. დადებითად იმოქმედა შრომის ნაყოფიერებისა და თვითღირებულების მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე.

— არც ერთი წუთი უქმად — აი ჩვენი ახალი დევიზი, — გვიამბობს ო. ბრეგაძე და თან გვიხსნის: თუ მომხვეტი კონვეიერი რაიმე მიზეზით გაჩერდა, განკარგულებას ვიძლევი დაამზადონ ბიგები, ჩადგან ჩარჩოები, ჩამოსწორონ მონგრეული ქვანახშირი.

ო. ბრეგაძე განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა ბრიგადის თვითეულ წევრს. პირად მაგალითს უჩვენებს და ყოველთვის მზად არის დახმარება გაუწიოს ამხანაგს. მეშახტეებთან ერთად განიხილავს ყოველ წამოწყებას, ახალს, პროგრესულს. ბრიგადირი სისტემატურად სინჯავს მუშების საანგარიშო წიგნაკებს, თვალყურს ადევნებს, რომ გამომუშავება ბუხჰალტერიამ შეუცდომლად დარიცხოს.

საქმისადმი ასეთმა მიდგომამ უფრო მჭიდროდ შეაკავშირა კოლექტივი, განამტკიცა მასში ამხანაგობა და საწარმოო მეგობრობა. ბრიგადამ კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელო მოიხვეჭა.

არც თუ იოლი გზით იქნა მიღწეული ყოველივე ეს, ბევრი მეშახტე მკაცრად იქნა დატუქსული. ბრიგადირის მკაცრი, ამასთან სასარგებლო სიტყვა ყოველთვის იხსნიდა ამა თუ იმ მეშახტეს მოსალოდნელი ხიფათისაგან.

ბრიგადის წევრმა ჯ. საპანაძემ უმიზეზოდ გააცდინა სამუშაო დღე და ამით შეურაცხყო ამხანაგები. ბრიგადირმა შეკრიბა კოლექტივი. შრომის დისციპლინის დამრღვევი მკაცრად იქნა გაფრთხილებული, რომ თუ კიდევ გააცდენს სამუშაოს, მოუხდება კოლექტივთან დამშვიდობება.

— კრების შემდეგ, — ამბობს ო. ბრეგაძე, — ცალკე მოველაპარაკე. ამხანაგურმა რჩევამ აამაღლა მეშახტის პასუხისმგებლობა, მან შეიგნო თავისი შეცდომა და შემდეგ სამუშაო არასოდეს აღარ გაუცდენია.

იყო შემთხვევები, როცა გულაცრუებული მეშაობდა მებიგე ტ. ჩაფიძე. ძველი ჩვევის მიხედვით ის უწესრიგო მდგომარეობაში ტოვებდა სანგრევს, ცუდად ამაგრებდა ჭერს. მეგობრული კრიტიკა დაეხმარა მას გამოესწორებინა თავისი შეცდომები. ახლა ჩაფიძე ერთ-ერთი მოწინავეა მთელ ბრიგადაში.

კოლექტივში საყოველთაო სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობენ მეშები ა. ჩაფიძე, ს. ლალიევი, შ. უკლება და სხვები, რომლებიც ადრე შემჩნეული იყვნენ შრომის დისციპლინის დარღვევაში. ბრიგადირმა მათთანაც გამონახა განსაკუთრებული სიტყვა.

— ადამიანებმა იგრძნეს თავიანთი პასუხისმგებლობა კოლექტივის წინაშე, — ამბობს ო. ბრეგაძე, — მოიკრიბეს ძალა და მხარდამხარ გაყვნენ ბრიგადის მოწინავე მეშებს.

კოლექტივთან ასეთმა დამოკიდებულებამ ო. ბრეგაძეს დიდი ავტორიტეტი და. სიყვარული მოუპოვა, და როდესაც იგი ამას წინათ კომუნისტური პარტიის წევრად მიიღეს, ყველამ თქვა: ღირსიაო.

— თავმდაბალ და უბრალო ქართველ მეშახტეს არ უძებნია სახელი და დიდება. ეს მოვიდა თავისთავად, ყოველდღიური საქმიანობის შედეგად. მისი სახელი ახლა ფართოდ არის ცნობილი არა მარტო მეშახტეთა რაიონში, არამედ მთელ რესპუბლიკაში, მის გარეთ. ოთარ ბრეგაძის სახელზე ამას წინათ ცნობილი დონბასელი მეშახტის ნიკოლოზ შამაის წერილი მოვიდა. ნიკოლოზ შამაი სურვილს აცხადებს ჩაებას ქართველ მეშახტესთან შეჯიბრებაში და იკისროს ყოველ ცვლაში ბრიგადის წევრზე გეგმის გადამეტებით მოანგრიოს ორ-ორი ტონა ქვანახშირი.

— ეს იოლად შეუძლია ყველა მეშახტეს, — თქვა ბრიგადირმა საგანგებოდ მოწვეულ შეკრებაზე და ნიკოლოზ შამაისთან ერთად შეჯიბრებაში გამოიწვია მეზობელი ლ. ჩაფიძის ბრიგადა.

მალე ო. ბრეგაძეს სანგრეში ეწვია ლ. ჩაფიძე. აქ, მიწის წიაღში, შეჯიბრდნენ ორი ბრიგადის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

სტუმრები არ გაწითლებულან. შეჯიბრების გაშლიდან 6 თვის მანძილზე მათ გეგმის ზევით სამშობლოსთვის მიუცია 1.100 ტონა ქვანახშირი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, წინ მაინც მასპინძლები აღმოჩნდნენ. თვითეულ მუშაზე მათ ყოველდღიურად მოპოვებული ჰქონდათ 2,5 ტონა ქვანახშირი.

მეგობრებმა მიულოცეს ერთმანეთს მოპოვებული წარმატებები და შეთანხმდნენ კვლავაც ახალი ძალით გაიჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება.

— ჩვენ შეეცდებით არა მარტო დაგეწიოთ, არამედ გაგისწოროთ კიდეც, — უთხრა ლ. ჩაფიძემ დამშვიდობებისას ო. ბრეგაძეს.

— გისურვებთ წარმატებებს, მაგრამ არც ჩვენ შევჩერდებით ერთ ადგილზე! — იყო პასუხი.

...ოთარ ბრეგაძეს იმ დღეს შახტის პირთან შეეხვედრა. სახეზე მოესვენრობა ეტყობოდა. ბრიგადის წევრებს ნაწყენი ტონით ელაპარაკებოდა. ჩანდა წინა დღის მუშაობის მაჩვენებლებით კმაყოფილი არ იყო.

— 100 პროცენტით გეგმის შესრულება რას მიქვია? არა, ამხანაგებო, საბამ არ დავამთავრებთ ახალი ქანობის გაყვანას, მდგომარეობა არ გაუმჯობესდებაო...

მეშახტეები შახტში ჩასაშვებად ლიფტში ჩასხდნენ. ოთარ ბრეგაძე ფიქრებში გართული სამუშაო ფრონტის გაფართოების ახალ პერსპექტივებს სახავდა.

ერთი კვირის წინ ბრიგადას ორი ლავი ჰქონდა. აქედან ერთი უკვე გამომუშავდა და გამოვიდა მწყობრიდან. მოქმედი ერთი ლავით კი საწარმოო დავალების გადაჭარბებით შესრულება წარმოუდგენელი იყო. სწორედ ახალი ქანობის გაყვანა იძლეოდა იმის საშუალებას, რომ დამატებით გახსნილიყო ლავი.

— მოინგრეს 90 ტონა ქვანახშირი, გაყვანილ იქნას ქანობი 4 გრძივ მეტრზე! — ასეთი იყო ამ დღეს ბრიგადის განრიგი. ქვანახშირის მონგრევაცა და ქანობის გაყვანაც სერიოზული სამუშაოა. ბრიგადირმა მაინც ლავში დარჩენა არჩია. ქანობზე კი გამოცდილი გამყვანი ს. ლალიევი გაგზავნა.

წარმატებით გაიშალა მუშაობა ორივე ფრონტზე. ოთართან ერთად ელექტრობურღები ჩართეს ჯ. საპანაძემ და შ. უკლებამ.

აი იბურღება ოცდამეხუთე შპური!

— ავაფეთქოთ, — იძლევა განკარგულებას ბრიგადირი.

ბრიგადის წევრები განცვიფრებაში მოდიან. წინათ ჩვეულებრივად 30-32 შპურს აფეთქებდნენ. შეცდომა ხომ არ არის დაშვებული? მაგრამ აფეთქებამ შესანიშნავი შედეგი გამოიღო. მაშინ ბრიგადის წევრები ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ თავიანთი მეთაურის ნოვატორობაში.

— ახლა საჭიროა სწრაფად გაიწმინდოს ლავი, — არის ბრიგადირის ახალი განკარგულება. ტრიალებენ ბიჭები. წამი რა არის, მასაც არ აცდენენ უსაქმოდ. მომხვეტ ტრანსპორტიორზე აცმაციმდნენ ქვანახშირის ბრჭყვიალა ნატეხები. გზას მიიკვლევენ სამახტო კოდისაკენ.

ქვანახშირის მონგრევის განრიგი შესრულებულია. ოთარს ახლა ქანობის საქმე აღარდებს, და აი მივიდა კიდეც ს. ლალიევთან...

მეორე დღეს შახტის უფროსის კაბინეტში ბრიგადის მუშაობის მაჩვენებლებს განიხილავდნენ.

108 ტონა ქვანახშირი — ასეთი იყო კომუნისტური შრომის ბრიგადის მაჩვენებელი. ბრიგადირი აღარ ემდუროდა წინა დღეს. თუმცა ეს კი თქვა:

— საქართველოს კპ XXI ყრილობას უკეთესი მაჩვენებელი დაამშვენებდა.

ზ. მერკვილაძე.

ქ. ტყიბული.

წიგნები და მკითხველები

კარგი შენაძენი

სასამართლო მედიცინა და მისი პრაქტიკული ნაწილი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა განიხილავს, ამუშავებს და წყვეტს სასამართლო „პრაქტიკაში" აღძრულ სამედიცინო და ბიოლოგიურ საკითხებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლო მედიცინის როლი ჯანმრთელობის და სიცოცხლის წინააღმდეგ ხელყოფის, სხვადასხვა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით გამოძიების პროცესში წამოჭრილი სამედიცინო საკითხების გადაჭრის თვალსაზრისით.

ბ. შანიძე

სასამართლო მედიცინა

სასამართლო მედიცინის დარგში ორიგინალური ქართული სახელმძღვანელოა სასამართლო მედიცინაში. იგი დიდ დახმარებას გაუწევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებსაც ამ საგნის ათვისებაში და პროკურატურის, სასამართლოს და იურიდიული კონსულტაციის მუშაკებს ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში.

სახელმძღვანელოში ყველა საკითხია მეტნაკლებად განხილული, თავისი მნიშვნელობის და აქტუალობის მიხედვით. მაგალითად, სასამართლო სამედიცინო ტრავმატოლოგიის და თანატოლოგიის საკითხები შედარებით უფრო ვრცლად არის გაშუქებული, ვიდრე ტოქსიკოლოგიის ან მეან-გინეკოლოგიის საკითხები. ამასთან მნიშვნელოვანია იაც, რომ ყველა საინტერესო საკითხის განხილვას თან ახლავს ის კითხვები, რომლებიც ამა თუ იმ შემთხვევის მიწედვით, გამომძიებელმა უნდა დასვას გადასაწყვეტად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის წინაშე. გარდა ამისა, ავტორი საკმარისად ხშირად იყენებს თავის პრაქტიკის საინტერესო შემთხვევებს, რაც კიდევ უფრო ააღვილებს სასამართლო მედიცინის კურსის ათვისებას.

სახელმძღვანელო სწორად არის შედგენილი. იწყება შედარებით მარტივ საკითხთა ახსნა-განმარტებით, რასაც მკითხველი თუ შემსწავლელი აღვილად შეაკავებს სიგნის კურსში. მკითხველი აღვილად ეცნობა სასამართლო მედიცინის არსს, ადგილსა და მნიშვნელობას სამედიცინო, იურისპრუდენციულ თუ მეცნიერებათა სხვა დარგებს, ხოლო ამის შემდეგ თანმიმდევრულად განხილულია უფრო რთული საკითხები.

წინამდებარე წიგნი მშვენივრად არის ილუსტრირებული. მასში წარმოდგენილია 125 ფოტოგრამა, ცხრილები და სქემები, რომელთა უმრავლესობა ორიგინალურია. ისინი აადვილებენ წაკითხულის გარკვევასა და შეთვისებას.

სახელმძღვანელო დაწერილია კარგი ენით, მასში ფაქტები და მათი ახსნა-განმარტება წარმოდგენილია ქართული სამედიცინო და იურიდიული ტერმინოლოგიის დაცვით.

სახელმძღვანელოს დართული აქვს აკადემიკოს გლ. ყლენტის წინასიტყვაობა, რომელიც ადასტურებს მის დიდ მნიშვნელობას და ავტორის სერიოზულ თეორიულ, პრაქტიკულ მოღვაწეობას ამ დარგში.

წიგნის რედაქტორია აკადემიკოსი ი. ტატიშვილი.

სასურველია ავტორმა ითავოს სასამართლო მედიცინის სახელმძღვანელოს შედგენა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთათვის, რასაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, ვფიქრობთ, უსათუოდ მხარს დაუჭერს.

პ. ბერძენიშვილი,
საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორი.

საკდესის ცნობა

ა. წ. 13 სექტემბერს ზუსტად დანიშნულ დროს წარმატებით გაშენებულ იქნა ახალი უფრო მძლავრი მრავალსაფეხურიანი მატარებელი რაკეტა წყნეთის ოკეანის ცენტრალური ნაწილის რაიონში 12.000-ზე მეტ კილომეტრ სიშორეზე.

რაკეტის ფრენა და მისი ყველა საფეხურის მოქმედება მიმდინარეობდა ადრე ვალისწინებული პროგრამის შესაბამისად.

მატარებელი რაკეტის უკანასკნელი საფეხურის-ბალისტიკური ბალისტიკური-დაპირის დამიზნების წერტილიდან ერთ კილომეტრზე ნაკლებ [illegible] დადასტურებულია რაკეტის მართვის სისტემის [illegible] — [illegible] ტის უკანასკნელისწინა საფეხურმა, შეასრულა რა თავისი დანიშნულება, [illegible] ატმოსფეროს მეჩიდრო ფენებში და დაიშალა.

კოსმოსური ობიექტების მრავალსაფეხურიანი მატარებელი რაკეტების გაშვება გაგრძელდება რაიონში, რომელიც გამოცხადებულია საკდესის 1961 წლის 11 სექტემბრის ცნობაში.

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

№ 217

1961 წლის 14 სექტემბერი ქ. მოსკოვი

ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევისა და შეიარაღებული ძალებიდან იმ სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნის წესის შესახებ, რომლებმაც გაიარეს სამსახურის დაწესებული ვადები

შესაბამისად საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა „რიგ ჯარისკაცთა, მატროსთა, სერჟანტთა და ზემდეგთა თადარიგში დათხოვნის ვადის დროებით გადადების შესახებ, რომლებმაც მოიხადეს ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადები", **ვბრძანებ:**

1. გაწვევულ იქნეს საბჭოთა არმიის, სამხედრო საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების ნამდვილ სამხედრო სამსახურში 1942 წელს დაბადებული მოქალაქენი, რომლებსაც არა აქვთ შედავათისა და გაწვევის ვადის გადადების უფლება, აგრეთვე გაესწავლა ასაკთა მოქალაქენი, რომლებსაც გაუვიდათ გაწვევის ვადის გადადება და რომელთა ტოლები გადიან ნამდვილ სამხედრო სამსახურს.

ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევა მოეწყოს საყოველთაო სამხედრო მოვალეობის კანონით დაწესებულ ვადებში.

2. დროებით გადადოს იმ ჯარისკაცთა, მატროსთა, სერჟანტთა და ზემდეგთა თადარიგში დათხოვნა, რომლებმაც მოიხადეს ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადები, გადიან სამსახურს შენაერთებში, ნაწილებში და თანამდებობებზე ჩვმ მიერ დამტკიცებული ნუსხის თანახმად.

ჯარისკაცები, მატროსები, სერჟანტები და ზემდეგები, რომლებმაც გაიარეს ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადები, გადიან სამსახურს შენაერთებში, ნაწილებში და თანამდებობებზე, რომლებიც არ არის დასახელებული ნუსხაში, დათხოვნილ იქნენ საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების რიგებიდან თადარიგში კანონით დაწესებულ ვადებში.

3. ბრძანება გამოცხადდეს ყველა ასეულში, ბატარეაში, ესკადრილიაში და ხომალდზე.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი რ. მალინოვსკი.



„მტკვრის პირას"
ფოტოტიუდი ბ. დადვაძისა.

ქტკვრის კვალდაკვალ

ერთი საინტერესო ლაშქრობის შესახებ

✦

ჯერ კარგად გათენებულიც არ იყო, ბორჯომის მახლობლად მტკვრის ნაპირთან საბარგო ავტომანქანა რომ გაჩერდა. ზედმსხდომნი სწრაფად გადმოხტნენ და მაშინვე ბარგის გადმოტვირთვას შეუდგნენ. მათ ბარგს შეადგენდა ზურგჩანთები, სხვადასხვა სამგზავრო მოწყობილობა და ასაწყობი ტურისტული ნავები.

მგზავრები ჩქარობდნენ. ნავები სწრაფად აიწყვეს, თითო ხავს ორ-ორი კაცი შეუდგა თავსა და ბოლოში, ასწიეს და მტკვრის ნაპირისაკენ წაიღეს. მეოე სურსათით სავსე ზურგჩანთები და სალაშქრო კარვები ჩაიწყეს ნავებში. ყველაფერი თოკით ნავზე დააბეს და ამით სამზადისი დასრულდა. ესენი იყვნენ ქართველი ტურისტები, სპორტული ლაშქრობის მონაწილენი, რომლებიც მიემგზავრებოდნენ ბორჯომი—თბილისი—მინგეჩაური—ეკლახი. ლაშქრობას ხელმძღვანელობდა სპორტის ოსტატი ირაკლი სულიაშვილი.

მოლაშქრეებმა შეაცურეს ნავები მტკვარში და გაემზადნენ გასაგზავნელად.

ყველამ თავისი ადგილი დაიკავა. ხუთი ნავი შეტორტმანდა მტკვრის ჩქარ ტალღებზე და დაიძრა.

სოფელ ყვიბისს უახლოვდებოდნენ მოლაშქრეები, როცა მოულოდნელად ნავები რაღაც მაგარ სხეულს წამოედნენ. მოწინავე ნავი, რომელიც ირაკლი და გიგი ისხდნენ, მათი სიმძიმის გამო სხვა ნავებზე უფრო ღრმად იჯდა მტკვარში და ამიტომ წყლით დაფარულ ლოდებზე დაჯდა. მოლაშქრეებმა ნავი ხელით გადაიტანეს. სხვა ხავები კი ქვებზე ხახუნ-ხახუნით გადავიდნენ. მალე ორი ნავი ნაპირს მიადგა. ისინი მდიდარები წვეტიან ქვებს გაეხვრიტათ და აუცილებელი იყო მათი სასწრაფოდ შეკეთება.

აგერ, მტკვრის კალაპოტი გაფართოვდა, წყალი მთელი მდინარის სიგანეზე გაიფანტა და ქვებზე შხეილით გადადიოდა. აქ ნავებით გაცურვა შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომ მოლაშქრეები ნავებიდან ჩამოვიდნენ და თავიანთი ნავები მდინარეში ხელით გააცურეს. წყალში ფეხით სიარული გაძნელდა. მდინარე სავსე იყო უზარმაზარი გალიპული ლოდებით და ფეხი სხლტებოდა, წაძდაუწუმ ეცემოდნენ მოლაშქრეები, ისმოდა ძახილი:

—ხელა!

— ბიჭო, შენკენ მისწიე ნავის თავი, თორემ ტალღამ წამართვა ბოლო.

მალე ახალდაბას მიუახლოვდნენ. ამ ადგილებში მტკვრის კალაპოტი ვიწროვდებოდა და წყალი შფოთვით და გრიალით მიედინებოდა ვეება ქვებს შორის.

აქ ადგილობრივ მცხოვრებთ მოწყობილი ჰქოდათ თეგზსაკერი დანადგარები, ასეთი დანადგარის ორი ხე მტკვრის ერთი ნაპირიდან თითქმის მეორემდე იყო გადებული. ამ ხეებს შუა წყალძი ჩაეგმათ რამდენიმე საყრდენი ბოძი, ხოლო ეს ბოძები ერთმანეთისაგან ერთნახევარი მეტრით იყო დაშორებული. მათ შორის გადიოდა მეტად სწრაფი დიხება და სწორედ აქ უდგამენ ხოლმე ძეთეგზეები თეგზის საკერ ფაცერებს, რომლებშიც თეგზი იჭრება და ვეღარ ამოდის. აქ მტკვარი უცავ დიდი სისწრაფით ემვეოდა ვიწრო კალაპოტით და გრიალით მიედინებოდა კლდეებში. მოწინავე ნავი სწორედ აქ მოულოდნელად წაადგა თავს ასეთ დანადგარს: წიხა სკამზე მჯდომი გიგი ლაშქრობის ხელმძღვანელს ირაკლის მიუბრუნდა და შეეკითხა:

—რა ვქნათ, სად წავიდეთ? იქნებ უმჯობესი იყოს ნავები ნაპირზე მივაყენოთ?

ირაკლიმ დაკვირვებით შეათვალიერა გარემო და ის იყო უნდა რაღაც ეთქვა, რომ მისი ნავი დიხებაში შევიდა და მთელი სისწრაფით წინ გაექანა. შეჩერება ან დინებიდან გამოსვლა შეუძლებელი იყო. გამოსავალი მხოლოდ სწრაფ მახვევრებში იყო, და მოლაშქრეებიც არ დაიბნენ, პირდაპირ იმ ორ ბოძს შუა დარჩენილ შუალედისაკენ გაიქანეს ხავი. ის ის იყო უნდა გასხლტომოდნენ საფრთხეს, რომ კლდიდან უკუქცეულმა ტალღამ ნავი ზედ სვეტს შეალეწა.

მეორე ნავჯ, რომელშიც გუჯა და თამაზი ისხდნენ, იმ პირველ ხავს ახლო მიჰყვებოდა, ხოლო როცა პირველი ნავი დაიმსხვრა, იმ წამსვე თამაზმა ამხანაგს გასძახა:

—გუჯა, მიაყენე ნავი ნაპირზე, სხვებსაც აცნობე და სასწრაფოდ მომყეენით! —თვითონ კი სწრაფად გადმოხტა ხავიდან და გაეკიდებაში ჩავარდნილი ამხანაგებისაკენ გაეშურა. ნავს ორი ბოძი მოეტეხა და ნამსხვრევებში გახერგილიყო, ზიგ მსხდომნი კი ნავიდან ვერ გადმოდიოდნენ და უნაყოფოდ ებრძოდნენ ტალღებს.

მოლაშქრეებმა თავიანთი ნავები სასწრაფოდ ნაპირს მიაყენეს, განსაცდელში ჩავარდნილ ამხანაგებს მიეშველნენ და მალე დამტვრეული ნავი ნაპირზე აათრიეს.

ლაშქრობის უფროსმა ნავი შეამოწმა. აღმოჩნდა, რომ ნავს მარჯვენა გვერდი და მთავარი საყრდენი ღერძი სრულიად დამსხვრეოდა. ამ ნავით სვლა უკვე საეჭვოთო იყო. ამიტომ დამტვრეული ნავიდან მოლაშქრეებმა ბარგი სხვა ნავებზე გადაიტანეს, ხოლო ნავი სახელდახელოდ შეაკეთეს და გზა განაგრძეს.

ბინდდებოდა, როცა ბორჯომის ხეობის ვიწროებს გამოღწევე და ქვიშხეთის ველზე გავიდნენ. როგორც ხალხი უწოდებს, ქვიშხეთის „ბეწვის ხიდის" ქვეშ გაიარეს. აქვე შეჩერდნენ და ყველა ნავი ნაპირზე გადაიტანეს. ხმას არავინ იღებდა, ყველა უხმოდ მუშაობდა. ნავებიდან გადმოჰქონდათ ბარგი და ბის ძირას აწყობდნენ. მერე მოლაშქრეები ბალაში შეშის შესაგროვებლად მიმეფანტნენ. მალე მოაგროვეს საკმაო შეშა და რამდენიმე წუთში უზარმაზარი კოცონი ააბრიალეს. ოქვე ცეცხლის შუქზე გაშალეს კარვები, მეორე ცეცხლს შემოუსხდნენ გარშემო და ვახშმის შემდეგ ნელ-ნელა ალაპარაკდნენ: აქა იქ უკვე ხუმრობა და სიცილიც გაისმა.

მთვარიანი, წყნარი საღამო იყო და მოლაშქრეებიც კარვებში აღარ შედიოდნენ. იქვე ცეცხლის გარშემო მოთავსდნენ და მტკვრის ტალღებთან ბრძოლით მოღლილებმა ტკბილად ჩაიძინეს.

ინათა. მოლაშქრეები წამოიშალნენ, მტკვრისაკენ გაემართნენ და ტალღებში შეცურდნენ. კარგა ხანს იბანავეს მტკვარში, მერე უფრო გამხნევებულნი შეუდგნენ საბზადისს. გუშინდელი ხიფათი ყველას დავიწყებოდა.

გზა განაგრძეს.

საღამოს მოლაშქრეები გორში ჩავიდნენ და ქალაქის პარკის სანაპიროზე გამართეს ბანაკი.

ლაშქრობის მესამე ეტაპი, გორიდან მცხეთამდე, ძალიან. ძნელი და სახიფათო იყო, ამიტომ მოლაშქრეები გამგზავრების წინ ყველაფერს გულდასმით ამოწმებდნენ. მტკვრის ამ მონაკვეთზე ძლიერ ბევრია მოულოდნელი მოსახვევები, მეტად სწრაფი ჩქერები, წყალქვეშა კლდეები და საშიელი ძორკვები. ამიტომ საჭირო იყო დიდი ოსტატობა და სიმტკიცე, რომ ეს სიძნელეები გადაელახათ.

და სწორედ აქ დაამტკიცეს მათ თავიანთი მომზადება.

ტურისტებმა ქსნის უზარმაზარი კლდეები და მორკვები მშვიდობით გადაცურეს და უკვე მცხეთის მდორეებს მიეახლოვდნენ. აქ უკვე არხეინად მოსრიალებდნენ.

ღამე მცხეთაში გაათიეს. მეორე დღეს კი მშვიდობიანად და მხიარულად ჩაუარეს თბილისსა და რუსთავს.

რუსთავიდან დაიწყო ლაშქრობის მეორე ეტაპი, სულ სხვა სახის სიძნელეებითა და დაბრკოლებებით. მტკვარი აქ ღრმად და ნავით მგზავრობა შედარებით ადვილი იყო, მაგრამ განუწყვეტელი პირქარი ანელებდა სვლას. თანაც თითქმის სრულიად დაუსახლებელ ადგილებში მივცურავდით. ხელმარცხნივ მტკვარს მოპყვება ყარაიის ულრახი ტყეები, ხოლო მარჯვნივ ჩამორეცხილი ციცაბო კედლებია. წყალი ნელ-ნელა უთხრის ძირს ამ კედლებს და საკმარისია ოდნავ მათი შერხევა, რომ ნიადაგი წყალში ჩამოწვეს. მტკვარი ძირს უთხრის უზარმაზარ ხეებსაც. ამიტომ ზოგან მდინარის მთელი კალაპოტი ჩახერგილი იყო ასწლოვანი ხეებით, მოლაშქრეებს უხდებოდათ მანევრირება ციცაბო კლდეებსა და მტკვარში წაწოლილ ხეებს შორის.

ღამე ტყეში მოუხდათ დაბანაკება. ზედ მტკვრის პირას დასცეს კარავი და კოცონი გააჩაღეს. დაღლილები ცეცხლის პირას წამოწვნენ. მხოლოდ გოგი ვაძერა სადღაც ანკესით ხელში. მალე იგი აკმინებული მოვარდა:

—ირაკლი, ჩქარა აიღე ბადე და წამოდი ჩემთან, იმდენი თევზია აი იქ იმ ოხელ ჩქერში, რომ კაცს თვალს არაასოდეს უნახავს,—ყვიროდა იგი და ირაკლის მკლავში ეწეოდა.

ირაკლიმ აიღო სასროლი ბადე და ზლაზვნით გაემართა მთვარის შუქით განათებულ მდინარისაკენ. ფრთხილად შეეიდა წყალში, ბადე ისროლა და უკან რომ მოხიდა, შენიშნა რომ ბადე ძმიმედ მოჰყვებოდა ხელს. ბადე სავსე იყო თევზით.

სპორტსმენები მინგეჩაურის ზღვას უახლოვდებოდნენ, ძლიერი პირქარი დიდ წინააღმდეგობას უწევდა მათ. საღამოვდებოდა. მინგეჩაურის ზღვის ნაპირებამდე კიდევ ერთი დღის სავალი დარჩენილიყო. პირქარი ჩადგა. ახლა უკვე ზურგის ქარმა დაიწყო ბროლვა. მოლაშქრეებმა ამით ისარგებლეს, ნიჩბებზე პერანგებისა და თხელი საბნებისაგან იალქნები გააკეთეს და დიდი სისწრაფით წავიდნენ წინ. ბინდდებოდა, როცა ზღვის შესართავთან ერთ ნასოფლარს მიაღწიეს და იქ დაბანაკდნენ.

უკვე მინგეჩაურის ზღვაში მიჰქროდნენ მოლაშქრეთა ნავები. პირქარი ჭროდა და ნავებს ტალღები ეხეთქებოდა. ღიახ, ეს ნამდვილი ზღვაა, რომელსაც არც თავი უჩანს და არც ბოლო... იძალა ქარმა. შეაღელესს წინსვლა შეუძლებელი გახდა და მოლაშქრეებმა თავი ზღვის ერთ ყურეს შეაფარეს იმ იმედით, რომ ზღვა დაწყნარდებოდა, მაგრამ ამაოდ. ქარი და ღელვა ძლიერდებოდა; სპორტსმენების ჯარვებამდე აღწევდა ტალღები, ხოლო ბანაკს უკან დაწევა არ ხერხდებოდა, რადგან იქ ციცაბო კედელი იყო.

საღამოვდებოდა. ლაშქრობის ხელმძღვანელი ირაკლი წყლის პირას დიდ მორზე იჯდა და ჩაფიქრებული გასცქეროდა ამბოხებულ ზღვას.

— ჩვენ ასე ჯდომა ხელს არ მოგვცემს, უთხრა მან ბოლოს ამხანაგებს. როდის დაწყნარდება ზღვა, ვინ იცის, სანოვაგის მარაგი გამოგველია და მისი შევსების არაგვითარი იმედი აღარ არის. საჭიროა ვიმოქმედოთ: ხომ არ სჯობს ამინდის გამოკითხვას არ ვუცადოთ და ცურვა განვაგრძოთ.

იმსჯელეს, ითათბირეს და გადაწყვეტეს გზა განგრძოთ. სპორტსმენებმა შეაცურეს ნავები ზღვაში და აღმოსავლეთისაკენ აიღეს გეზი. ამბოხებული ზღვის ტალღები ნაფოტებივით ითამაშებდა და დამსხვრევით ემუქრებოდა პატარა ბაიდარებს.

ყოველი მეტრი მანძილის დასაძლევად არაადამიანური ძალის გამოჩენა იყო საჭირო. ასეთი ბრძოლით მიიწევდნენ წინ მოლაშქრეები. ბინდდებოდა, როდესაც ერთ ყურეში შევიდნენ და იქ დაბანაკდნენ. ზღვის დასასრული აღარ უჩანდა, საკმელიც არ იყო და დაღლილ-დაქანცული, მშიერი მოლაშქრენი ხმის ამოუღებლად მოკმედებდნენ; ყველა თავის საქმეს აკეთებდა.

დადამდა. არავის ეძინებოდა და ყველანი კოცონის გარშემო ისხდნენ, ჩაფიქრებულნი ჩასცქეროდნენ ცეცხლს და თამბაქოს აბოლებდნენ.

— აქ უქმად ჯდომას ისა სჯობს აი, იმ გორაკზე აციცდეს ერთ-ერთი და გაიხედოს. ღამეა, მინგეჩაური განათებული იქნება და იქნებ დაინახოს, — თქვა ირაკლიმ, ლაშქრობის ხელმძღვანელმა. და კოტეს მიმართა: შენ ყველაზე უკეთესი მთასვლელი ხარ, მოდი აციცდ

სულმოკლე... თაღლითის ანკესზე

მკითხველს იქნებ ახსოვდეს გაზეთ „კომუნისტის“ 1961 წლის 26 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი ვრცელი წერილი სათაურით „სარეველები“. მასში მხილებული იყვნენ გაქნილი თაღლითები და აფერისტები, რომლებიც ბინის მიღებაში დახმარების დაპირებით გულუბრყვილო მოქალაქეებისაგან ფულის გამოძალვას ეწეოდნენ. ჩვენი საზოგადოების ამ ხორცმეტებს, უცხო და მავნე ელემენტებს მართლმსაჯულებამ შესაფერი მიუზღო.

მაგრამ მკითხველს ალბათ მაშინ ყურადღება არ მიუქცევია საქმის მეორე მხარისათვის. ამ გარეწრების მოქმედებით ალშფოთებული ღრმად არ დაფიქრებულა იმათ საქციელზე, ვინც თაღლითების ანკესზე წამოეგო და ჰირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენაში.

ეს კი მართლაც სერიოზული დაფიქრებისა და განსჯის ღირსია.

საოცარი ის არის, რომ მოტყუებულთა შორის აღმოჩნდნენ ისეთი პირები, რომელთა მოხვედრა აფერისტების ბადეში არ შეიძლება ავხსნათ მხოლოდ მათი გულუბრყვილობითა და სიბეცით.

განა დასაჯერებელია, რომ სერგო კუძიევი, კომუნისტი, თადარიგის ოფიცერი, წარმოების ოსტატი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, ბინების გაცემისა და გაცვლის ელემენტარულ წესებში ვერ ერკვევა? დავიჯეროთ, რომ მან არ იცის საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობის კანონები?

მაშ რისთვის დასჭირდა მას ბინის მიღებაში დახმარებისათვის მიემართა ვინმე ლუსია მატინოვასათვის, რომელიც საქმის „შინაურულად“ მოგვარებას დაპირდა. განა შეიძლება ეს სამარცხვინო ფაქტი მისი გულუბრყვილობითა და უცოდინარობით აეხსნათ?

არა, კუძიევს არც ცოდნა აკლია და არც ცხოვრების გამოცდილება. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, და ცხოვრებამ მას კიდევ ერთი გამოცდა მოუწყო, მან ვერ გამოიჩინა კომუნისტისათვის შესაფერი სიმტკიცე და სულგრძელობა.

— გამეჩერდა, ძმაო! საბინაო პიროებები გვაქვს, ოჯახურმა მდგომარეობამ მაიძულაო, — თავს იმართლებდა შემდეგ კუძიევი ამხანაგების წინაშე პარტიულ კრებაზე.

კარგი ამბავია! ბინისათვის ზრუნვამ კომუნისტი აფერისტის კარზე მიიყვანა თბოვნა-ვეფრებითა და ქრთამით.

ს. კუძიევმა რაიონული საბჭოს აღმასკომში, უკეთ რომ ვთქვათ, აღმასკომის დერეფანში გაიცნო ლუსია მატინოვა. ეს ქალი ყურადღებას იმით იქცევდა, რომ ყველას ინტერესითა და თანაგრძნობით უსმენდა და თავადაც ყველას შინაურულად და „ნრფელად“ გადაუშლიდა ხოლმე გულისნადებს.

— აღრიცხვაზე ხარ? — ეკითხებოდა იგი ერთ ახალგაზრდა ქალს.

— ვარ, როგორ არა. და არც თუ შორს არის ჩემი რიგი. ამ წელიწადში მოგცემთო, მპირდებიან და ვნახოთ.

— ეჰ, შენი მამა ცხონდა, რიგს ვინ უყურებს, შენ მოხვრხება მითხარი, თორემ... — მრავალმნიშვნელოვნად ჩაიცინებდა მატინოვა.

— რა ვიცი, ჩემი შეზობელი იყო რიგში და კიდევაც მიიღო ახლახან სამოთახიანი ბინა.

— არ დაიჯერო, ვიღაც ეყოლებოდა, — საიდუმლო ტონით უჩურჩულა მატინოვამ მოსაუბრეს, — ყველაფერი შინაურულად კეთდება, მე შენ მკითხე, ფული იყოს თორემ...

— ფულია? ყურები ცქვიტა იქნე კიდელთან ატუზულმა კუძიევმა. ფულს არ დაიშურებდა, ბინას რომ იშოვნიდეს, რიგს თუ ელოდა, თუნდაც წესიერად მისცენ, ვინ იცის როდის მოუწევს.

— არც ეგრეა საქმე, ეკამათებოდა ვიღაც მატინოვას, — რიგში ვინც არის იმას აძლევენ, ფული მილიონი რომ დახარჯო, თუ არ გეკუთვნის, ბინას ვინ მოგცემს.

— ფულითა და ნაცნობობით არის ყველაფერი. სანდო კაცი, უნდა გაკადეს შუამავლად, ისე ვერაფერს გახდები.

— სად არის მერე ეს სანდო კაცი?

— ფული გაქვს? — ჯიქურ მიეჭრა მატინოვა ამის მთქმელს.

უცნობი შეუყოყმანდა:

— მქონდა რაღაც ცოტა...

— გინდა ექვს თვეში შეგიშვა ახალ ბინაში?

— რანაირად? — დაეჭვდა და შეფიქრიანდა უცნობი.

— ეს მე ვიცი. მოდი საღამოს შინ და მოვილაპარაკოთ. ჩაიწერე მისამართი.

კუძიევი ყურადღებით უსმენდა მათ და გამალებით მუშაობდა მისი გონება: ექვს თვეში ახალ ბინაში რომ შევიდოდეს, ფულს ვინ დაზოგავს! მაგრამ ვითომ სანდოა ეს ქალი? ცდის მაინც და... ცდა ბედის მონახევრეაო.

კუძიევმა იქვე ჩაწერინა ლუსია მატინოვას მისამართი, შინ მეწვიეო.

მეორე დღეს სერგო კუძიევის ბინაზე გახურებული ვაჭრობა და მოლაპარაკება გაიმართა. ბოლოს მორიგდნენ: კუძიევმა ორმოცდახუთი ათასი მანეთი გაიღო (ძველი კურსით), ხოლო ლუსია მატინოვამ თავის მხრივ იკისრა, რომ ახალი წლის მობრუნებამდე ახალ ბინაში შეიყვანდა მის ოჯახს.

მერე?

მერე და როგორ ფიქრობთ, სერგომ დაიჯერა, თორემ თქვენც ხომ არ გჯერათ, რომ ამ გაქნილ თაღლითს მართლაც შეეძლო კუძიევის საბინაო საქმის მოგვარება.

რომელი ჭკუათამყოფელი დაიჯერებს ამას! საკვირველი მხოლოდ ის არის რომ თვით ის — სერგო კუძიევი ცხოვრებაში საკმაოდ გამოცდილი და გამობრძმედილი კაცი — ბრმასავით მიენდო და ყველაფერს უჯერიდა ამ ვიგინდარას, ურცხვად რომ ასახელებდა აღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკების გვარებს, რომელთა მეშვეობითაც თითქოს იგი შინაურულად აკბარაკებდა საქმეებს. ეს გარეწარი ცილს სწამებდა, სახელს უტეხდა პატიოსან ადამიანებს, ხოლო კუძიევი არც კი დაეჭვებულა, რომ მატინოვა საზიზღრად ტუოდა, უფრო მეტიც, მან ორმოცდახუთი ათასი მანეთი ჩაუთვალა მატინოვას იმის დასტურად, რომ სჯეროდა მისი და სავსებით ენდობოდა.

და აქ მთავარი კუძიევის გულუბრყვილობა და სიბეცე როდია: საქმე ეხება მისი, როგორც კომუნისტის მორალურ სახეს — მის სიმტკიცეს, სულგრძელობას, ზნეობრივ სიწმინდეს, პატიოსნებას. ნაცვლად იმისა, რომ მაშინვე ყურში ჩაეკვლო ხელი ამ აფერისტისა და ცილისმწამებლისათვის და მიეყვანა, სადაც ჯერ იყო, რათა საშუალება არ მიეცა განეგრძო დანაშაულებრივი მოქმედება, კუძიევმა თვით შეტოპა წუმპეში და პირდაპირ თუ არაპირდაპირ ავკაცობის თანამზრახველი და მონაწილე გახდა. მას ხომ არაწესიერი გზით, ქრთამის გაღებით სურდა მიეღო ბინა!

სად გამოვლინდა მისი, როგორც კომუნისტის საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნება, საზოგადოებრივი ინტერესების დარღვევისადმი შეუწყნარებლობა?!

მძიმე საბინაო პირობებმა მაიძულაო.

აი როგორი კომუნისტი გამოდგა სერგო კუძიევი. მას სულგრძელობა არ ეყო ცოტახანს ვიწროდ ეცხოვრა და რიგს დალოდებოდა ახალი ბინის მოლოდინში.

აი რატომ მოექცნენ ასე მკაცრად მას პარტიის კიროვის რაიკომი და თბილისის კომიტეტი. სერგო ვასილის-ძე კუძიევი გარიცხულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებიდან.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უსინათლოთა საზოგადოების სოღანლუღის სასწავლო საწარმოო წამოწყების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ უპრინციპობა გამოიჩინა ს. კუძიევის საქმის განხილვისას, როცა მას საყვედური აკმარა. მას, ვინც პარტიის სიწმინდეს და ღირსებას შელახავს, უფლება არა აქვს კომუნისტთა რიგებში ირიცხებოდეს.

მ. მიქაძე.

„ჩვენ მარტონი როდი ვართ“

პეკინი, 14 სექტემბერი. (საკდესი). კუბელი ხალხი შეუნელებელი ყურადღებით ადევნებს თვალყურს პრეზიდენტ დორტიკოსის ყოფნას საბჭოთა კავშირში. ყველა გაზეთი აქვეყნებს დაწვრილებით ინფორმაციას საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებთან მისი შეხვედრების შესახებ. ჰავანის გუშინდელმა გაზეთებმა დიდი სათაურებით დაბეჭდეს ცნობები იმის შესახებ, რომ პრეზიდენტმა ო. დორტიკოსმა დარბაზობა გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის პატივსაცემად.

მთელი რიგი გაზეთები ო. დორტიკოსის ყოფნას სსრ კავშირში უძღვნიან მოწინავე სტატიებს, რომლებშიც დიდ შეფასებას აძლევენ კუბისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის განვითარებასა და განმტკიცებას.

პრეზიდენტ ო. დორტიკოსის მოგზაურობა ჩეხოსლოვაკიასა და სსრ კავშირში, წერს გაზეთი „მუნდო“, „ცხადყოფს ჩვენი ქვეყნისადმი ამ სოციალისტური ქვეყნების სოლიდარობას, რაც გამოხატულია გულუხვი დახმარებით, რომელსაც გვიწევენ ყოველმხრივ, რათა უზრუნველყოთ ამერიკაში პირველი სოციალისტური რევოლუციის ახლანდელი ქმნადობა და ტრიუმფი“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხალხმა და მთავრობამ აღტაცებით მიიღეს დორტიკოსი და წერს, რომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ორივე ქვეყანას შორის დაწყებულ მოლაპარაკებას, რომელიც, როგორც გაზეთი წერს, მიზნად ისახავს კიდევ უფრო „გაფართოოს ეკონომიური ურთიერთობა კუბასა და სსრ კავშირს შორის“.

დორტიკოსის მოგზაურობა, წერს გაზეთი, ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნისა და რევოლუციისათვის სასარგებლო კონტაქტების დამყარებას. ჩვენ მტკიცედ ვიცით, რომ მარტოდმარტონი როდი ვართ, რომ ჩვენთან ერთად არიან ხალხები, რომლებიც არ განაპირობებენ და რეგლამენტს არ უქვემდებარებენ ამ დახმარებას. მათ ესმით ჩვენი და მხარს გვაჭერენ, რადგანაც მიაჩნიათ, რომ ჩვენც ვესწრაფვით იმის მიღწევას, რასაც უკვე თვითონ მიაღწიეს: თავისუფლებასა და კეთილდღეობას.

ამერიკელი გენერალი იკვეხნის...

ბონი, 14 სექტემბერი. (საკდესი). ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სარდალმა გენერალმა კლარკმა გუშინ ჰაიდელბერგში განაცხადა, რომ მისმა ხელქვეითმა ჯარებმა მიიღეს ყველაზე თანამედროვე იარაღი და სამხედრო მოწყობილობა. დპა-ს საგენტოს ცნობის თანახმად, კლარკმა თქვა, რომ ამერიკის სამხედრო ქვეგანყოფები დასავლეთ ბერლინში, რომლებმაც აგრეთვე მიიღეს ახალი შეიარაღება, ამჟამად ისე არიან აღჭურვილი, რომ „შეუძლიათ შეასრულონ თავიანთი მისია“.

იანოშ კადარი—უნგრეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ბუდაპეშტი, 14 სექტემბერი. (საკდესი). როგორც უნგრეთის დეპეშათა საგენტო იუწყება, 12 სექტემბერს გაიმართა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა იანოშ კადარმა პლენუმზე გააკეთა ინფორმაცია ზოგიერთი საერთაშორისო საკითხისა და უნგრეთში ამას წინათ მყოფ რუმინეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან ნაყოფიერი მოლაპარაკების შესახებ. ცენტრალურმა კომიტეტმა ერთხმად მოიწონა ეს ინფორმაცია.

ცენტრალური კომიტეტის მდივანმა იენე ფოკმა თავის მოხსენებაში ჩამოაყალიბა მეორე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი მოხაზები.

დიერდ მარშანმა წარმოადგინა მოხსენება იმ კომიტეტის მუშაობის შესახებ, რომელმაც შეისწავლა პარტიის ყოფილ წევრთა საქმეები.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით იანოშ კადარმა წინადადება შეიტანა გადაიკრას ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხი, რაც ხელს შეუწყობს პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის განმტკიცებას. ცენტრალურმა კომიტეტმა ერთსულოვნად მიიღო ეს წინადადება.

ბუდაპეშტი, 14 სექტემბერი, (საკდესი). როგორც უნგრეთის დეპეშათა საგენტო იუწყება, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სრულიად უნგრეთის სამამულო სახალხო ფრონტის საბჭოს ერთობლივი წინადადების შესაბამისად უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმმა თანამდებობიდან გაათავისუფლა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფერენც მიუნიხი, სახელმწიფო მინისტრი იანოშ კადარი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები დიერდ კალაბ და ანტალ აპრო, შინაგან საქმეთა მინისტრი ბელა ბისკუ, სახელმწიფო საგეგმო. სამმართველოს თავმჯდომარე კარპად კიში, საგარეო საქმეთა მინისტრი ენდრე შიკი და კულტურის მინისტრი ვალერია ბენკე.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმმა დანიშნა: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ იანოშ კადარი, სახელმწიფო მინისტრად — ფერენც მიუნიხი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად — ანტალ აპრო, ბელა ბისკუ, იენე ფოკი და დიერდ კალაბ, შინაგან საქმეთა მინისტრად — იანოშ პაპი, საგარეო საქმეთა მინისტრად— იანოშ პეტერი, სახელმწიფო საგეგმო სამმართველოს თავმჯდომარედ მიკლოშ აიტაი, კულტურის მინისტრად—პალ ილა, ტექნიკური განვითარების კომიტეტის თავმჯდომარედ — არპად კიში.

მხატვრული ფოტოგრაფიის საერთაშორისო გამოფენა მოსკოვში.

ტან ძზუნ-ჩეი (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა). „ წავიდეთ იქით!“

ჰიუმი ვაშინგტონს გაემგზავრა

ლონდონი, 13 სექტემბერი. (საკდესი). დღეს საგარეო საქმეთა მინისტრი ჰიუმი ლონდონიდან ვაშინგტონს გაფრინდა, რათა მოლაპარაკება გამართოს ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრებთან ბერლინის მდგომარეობის საკითხზე.

გამგზავრების წინ ჰიუმმა სიტყვა წარმოთქვა კორესპონდენტთა წინაშე და ჩვეულებისამებრ შეეცადა შექმნილი მდგომარეობის გამო ბრალი დაედო საბჭოთა კავშირის მთავრობისათვის. მაგრამ მან თქვა, რომ მოკავშირეები შეეცდებიან გამონახონ მოლაპარაკების საფუძველი. „დასავლეთ ბერლინის მდგომარეობა, — თქვა მან, — უნდა მოწესრიგდეს მოლაპარაკების გზით. ვაშინგტონში ჩვენ შეეცდებით მოვამზადოთ ნიადაგი მოლაპარაკებისათვის. ჩვენ მართლაც არ უნდა განვიცადოთ ახალი მარცხი. უნდა გამოვნახოთ მოლაპარაკების საფუძველი, და რაც შეეხება მოკავშირეებს, ჩვენ შეეცდებით გამოვნახოთ იგი“.

მან თქვა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს სურთ გულდასმით მოემზადონ მოლაპარაკების დაწყებამდე.

ამერიკელი ფეხოსანი ოკეანეში

ნიუ-იორკი, 13 სექტემბერი. ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები „ანავერალის კონცხიდან იუწყებიან, რომ კაფსულმა, რომელშიც იყო „მექანიკური კოსმონავტი“, ერთხელ შემოუარა დედამიწას და პარაშუტით დაეშვა ატლანტის ოკეანეში, ბერმუდესის კუნძულების რაიონში, სადაც იგი ამერიკის საესკადრო ნალმოსანმა ამოიღო. კაფსულის წყლიდან ამოღებას 84 წუთი მოუნდა. ორბიტაზე ფრენა 1 საათსა და 46 წუთს გრძელდებოდა. კაფსულის წონა ორი ტონაა.

რაბათის მახლობლად, დაბა დუარ დუშში, მოხდა საფრანგეთის „ერ ფრანსის“ საავიაციო კომპანიის თვითმფრინავის კატასტროფა, რომელიც პარიზიდან მოდიოდა. რეაქტიულ თვითმფრინავ „კარაველში“ 71 მგზავრი იყო, ძირითადად ფრანგები და მაროკოელები. ყველა მგზავრი და საჰაერო ლაინერის ეკიპაჟიც დაიღუპა.

დაახლოებით 50 ათასი კაცი კვდება ყოველწლიურად მალარიით აღმოსავლეთ პაკისტანში, იუწყება ყოველკვირეული „პაკ ჯუმჰურიეთი“. მალარიით დაავადებულია ყოველი მეხუთე მცხოვრები ამ პროვინციისა, რომლის მოსახლეობა 50 მილიონ კაცს აღწევს. (საკდესი).

ტელეგრაფი გვაცნობებს

ნიუ-იორკი, 13 სექტემბერი. ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები „ანავერალის კონცხიდან იუწყებიან, რომ კაფსულმა, რომელშიც იყო „მექანიკური კოსმონავტი“, ერთხელ შემოუარა დედამიწას და პარაშუტით დაეშვა ატლანტის ოკეანეში, ბერმუდესის კუნძულების რაიონში, სადაც იგი ამერიკის საესკადრო ნალმოსანმა ამოიღო. კაფსულის წყლიდან ამოღებას 84 წუთი მოუნდა. ორბიტაზე ფრენა 1 საათსა და 46 წუთს გრძელდებოდა. კაფსულის წონა ორი ტონაა.

რაბათის მახლობლად, დაბა დუარ დუშში, მოხდა საფრანგეთის „ერ ფრანსის“ საავიაციო კომპანიის თვითმფრინავის კატასტროფა, რომელიც პარიზიდან მოდიოდა. რეაქტიულ თვითმფრინავ „კარაველში“ 71 მგზავრი იყო, ძირითადად ფრანგები და მაროკოელები. ყველა მგზავრი და საჰაერო ლაინერის ეკიპაჟიც დაიღუპა.

დაახლოებით 50 ათასი კაცი კვდება ყოველწლიურად მალარიით აღმოსავლეთ პაკისტანში, იუწყება ყოველკვირეული „პაკ ჯუმჰურიეთი“. მალარიით დაავადებულია ყოველი მეხუთე მცხოვრები ამ პროვინციისა, რომლის მოსახლეობა 50 მილიონ კაცს აღწევს. (საკდესი).

ოკეანეში შემოდგომაა ჩვენი რესპუბლიკის შავი ზღვის სანაპიროზე. ბევრი ხალხია ამ დღეებში ბიჭვინთის კონცხის პლაჟებზე. სურათზე: ბიჭვინთის პლაჟზე. ფოტო ი. ჯოხონელიძისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

,,ბაკინელი“ ბიბლიოთეკა

,,ბაკინელი“ ბიბლიოთეკა

,,ბაკინელი“ ბიბლიოთეკა